ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 16 7 სექტემბერი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეის გამო.—გზა-და-გზა (ჩვენი ქვეყნის ავტონომია).—პრესსა.—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი.—სპარსეთი.—ცას (ლექსი) **ქუჩიშვილისა.**—მაღალ წრეში, (პიესა) **განისა.**—
—შიმშილი სოფლად, **ცქვიტისა.**—პროვინ-ცია: სოხუმი, აკეთი.—ბათუმის ამბები.—თვალსაჩინო სწავლება სკოლებში, **ვ. ობჩელისა.**—დედა, როგორც აღმზრდელი.—წერილ. რედაქციის მიმართ.—განცხადებანი.

რეედაქცია ამით აცხადებს,—ვინც

„ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ს“

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექ-ტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს

პრემიათ **პოპულიარულ სამეცნიერო სტა-ტიებისა და მოთხრობათა**

კრებულს

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

იმათ, ვისაც ჰსურს

ამიერ-კავკასიაში ჰყიდოს გაზეთები, რომელიც ტფილისში გამოდის,

ი წ ვ ე ვ ე ნ

მიმართონ პირობების გასაგებათ ამ აღრესით: **ერევნის მოედანი, გურგენოვის სახლი, ნოტარიუს მგებროვის კანტორის ზემოთ, ა. ს. ლანგე.**



ლევ ნ. ტოლსტოი.

ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეის ზამთ.

—:—

გასული თვის 28 დიდი დღე იყო რუსეთისათვის. ამ დღეს რუსეთის დიდებულ მწერალს შეუსრულდა 80 წელი დაბადებიდან, რაიც აღფრთოვანებით იდღესასწაულა რუსობამ და მასთან ერთათ მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ.

ტოლსტოი კარგათ არის ცნობილი მთელს დედამიწის ზურგზე. არ იპოვება არც ერთი თანამედროვე ქვეყანა და არც ერთი საზოგადოებრივი წრე, სადაც გაგონილი მაინც არა ჰქონდეთ ტოლსტოის სახელი. მაგრამ არის ორი ტოლსტოი, ერთია სწორ-უბოვარი, ზესთა-ბუნებრივი ნიჭის შემოქმედება იშვიათი გენიოსობა, მეორე კი ჩვეულებრივი მომაკვდავი, ჩვეულებრივ ჭკუა-გონების და ხშირათ ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მდარე აზრების მქადაგებელი: ერთია უებრო რეალისტი, რომელსაც საგანგებოთ ესმის ცხოვრების მაჯის ცემა, სიცხადითა აქვს გათვალისწინებული ადამიანის გულის ყოველივე მოძრაობა, სულის ყოველივე, მცირეოდენი შეფოფინებაც, ერთი სიტყვით, იგი მისანია ცხოვრებისა და ადამიანის გრძნობა—გონებისა. მეორე ტოლსტოი არის იდეალისტ-უტოპისტი, რომელსაც აღარაფერი ესმის ამ ქვეყნიურ ცხოვრებისა და იმის მომქმედ ადამიანისა, იგი შორდება ცოდვილ დედა-მიწას და ჰაერში იწყებს ნავარდს და აქ აშენებს ჰაეროვან კოშკებს; არის ტოლსტოი რევოლიუციონერი და ტოლსტოი რეაქციონერი. და ეს ორი სხვა და სხვა ადამიანი მოთავსებულია ერთსა და იმავე პიროვნებაში. ეს არის ლ. ნ. ტოლსტოი, რომლის ხანგრძლივ მოღვაწეობას ორი მთავარი მიმდინარეობა აქვს: რომანისტ-ბელეტრისტული და მორალისტ-ფილოსოფიური. თქმა არ უნდა, რომ ეს ორი მიმდინარეობა ხშირათ ერთმანეთს ერთვის, ერთმანეთში ირევა და იხლართება. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით ფილოსოფიურ მოძღვრების გათვალისწინება და დაფასება შეუძლებელია ისე, როგორც ფილოსოფიური ნაწერების მიხედვით ტოლსტოის მხატვრული ნიჭი ვერ განიზომება.

როგორც სიტყვის მხატვარი და როგორც რომანისტი ტოლსტოი ყველგან და ყველასაგან დიდებულ მწერლათ არის აღიარებული; როგორც მორალისტ-ფილოსოფოსი იგი ცნობილია მხოლოდ ვიწრო წრეებში და მისი მიმდევარნიც თითებზე ჩამოითვლებიან, როგორც რუსეთში, ისე საზღვარ გარეთაც. ეს აგრეც უნდა ყოფილიყო. ტოლსტოის მოძღვრება თანამედროვე მეცნიერების გარეშე სდგას და ამასთანავე იგი სრულიად მოკლებულია პრაქტიკულ მნიშვნელობას. ეს მოძღვრება, თუ გნებავთ, არ არის მოკლებული ერთგვარ სიდიადეს, როგორც მთლიანი სისტემა მსოფლ-მხედველობისა. ეს მოძღვრება გაშუქებულია ადამიანისადმი ღრმა სიყვარულით. მისი ქვა-კუთხედია უსაზღვრო რწმენა ადამიანის ბუნების ძლევა-მოსილებისადმი. ტოლსტოი ძლიერი გრძნობით და მაღალი აზრით ანთებული მკვეთრი სიტყვებით ჰგმობს და შეაჩვენებს ყველა თანამედროვე სახელმწიფოთა არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას და მხნეთ მოუწოდებს კაცობრიობას ძობა-თანასწორობისაკენ. ამ იდეალის განსახორციელებლათ კი ტოლსტოი არიგებს თვითეულ ადამიანს: ზნეობრივათ ამაღლდი და განსპეტაკდი, სხვას ნუ უზამ იმას, რაც არ გინდა, რომ სხვამ შენ გიყოს, შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენიო, და აი მაშინ ყველანი ბედნიერები იქნებითო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოძღვარი ასე ეუბნება ადამიანებს: იყავით ბედნიერები თუ გინდათ, რომ ბედნიერები იყოთო, განახორციელეთ იდეალი და იდეალი განხორციელებული იქნებაო. დიდი კითხვა კი სწორეთ იმაშია, თუ როგორ, რა გზით, რა საშუალებით შეიძლება ადამიანები იმ დონემდე ამაღლდენ ზნეობრივათ, რომ მათ ხელი აიღონ თავის „მოყვასთა“ ყოველგვარ ჩაგვრა-ექსპლოატაციაზე და მთელი თვისი ბედნიერება ჰპოვონ ერთობა-თანასწორობაში. ტოლსტოის პრაქტიკულ ფილოსოფიის მთავარი დებულებაა „ძალას ნუ იხმარ ბოროტების წინააღმდეგო“ და ბოროტები' მოთხოვნებსაც ნუ შეასრულებთო (პასიური წინააღმდეგობა). მაგრამ ბოროტება იმის ბოროტებაა, როშ იგი ჩვეულებრივათ ძალადობას ხმარობს, როცა ნებით არ აკმაყოფილებ მის მოთხოვნა-ჟინიანობას. ასე რომ დებულება „ძალს ნუ იხმარ ბოროტების წინააღმდეგ“ აუცილებლათ ნიშნავს: „დანებდი ბოროტებას!“ რაიც უტყუარი გზაა გადაშენება-გათახსირებისაკენ. ამგვარათ, ტოლსტოის პრაქტიკულ ფილოსოფიას რომ ერთ მშვენიერ დღეს ხალხის ფართე მასსა იწამებდეს, ქვეყნის წინ სრბოლის ჩარხი სწრაფათ ატრიალდებოდა უკუღმა და ამ ფილოსოფიის დამღუპველი მნიშვნელობა განუზომელი იქნებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ფილოსოფია იმდენათ განყენებული და მიუკარებელია თანამედროვე ცხოვრების პირობებისათვის, რომ მას სრულებითაც არ შეუძლიან ეს რეაქციონურ-რეგრესიული როლი პრაქტიკულათაც ითამაშოს. რაც შეეხება ამ მოძღვრების მეორე ნაწილს, რომელიც შეიცავს თანამედროვე წყობილების კრიტიკას, მისი პროგრესიული მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თანამედროვე ცხოვრების უარყოფაშიაც ტოლსტოი აშკარა უკიდურესობამდე მიდის. იგი უარჰყოფს მთელ თანამედროვე ცივილიზაციას თავიდან ბოლომდე და უმეტნაკლებოთ. იგი კაცობრიობას მოუწოდებს უკან დაბრუნდეს პირველ-ყოფილ, „ბუნებრივ“ მდგომარეობისაკენ!..

ტოლსტოის ზნეობრივ-ფილოსოფიური მოძღვრება მწარე ამონაკვნესია კეთილშობილურ გულისა, რომელიც ტანჯულ-გვემულა კლასიურ საზოგადოების უსამართლობა-სიდუხჭირეთი. ახალი ამ მოძღვრებაში არსებითად არაფერია. ყველა მისი დედა-აზრი გაბნეულია დღემდის არსებულ ზნეობისა და რელიგიის სისტემებში. ტოლსტოიც გვიქადაგებს მაღალ ზნეობას, სათნოებას და იმას კი ვერ გვასწავლის თუ რა გზით, რა საშუა-

ლებით შეიძლება დამყარდეს „მშვიდობა და კაცთა-მოყვარეობა“, ხოლო რამდენათაც იგი საამისოთ მიგვითითებს პრაქტიკულ ზომაზე, იმდენათ მისი მოძღვრება რეაქციონერია. ასე რომ ტოლსტოის სიდიადეს ჩვენ ამაოთ მოვძებნით მის ფილოსოფიაში. მისი მთელი სიდიადე ერთიანათ იპოვება მხატვრულ ლიტერატურის ასპარეზზე. აქ ტოლსტოი ნამდვილი ბუმბერაზია და ასეთ ბუმბერაზათ არის იგი ცნობილი მთელ ქვეყნიერობაზე. მისი „Война и Миръ“ და „Анна Каренина“ — კოლოსალური მონუმენტები მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. ჩვენც ტოლსტოის ვადიდებთ მხოლოთ როგორც სიტყვის მხატვარსა და რომანისტს.

ამ ორგანოს წარსულ კვირის №-ში ჩვენ, ქართველი ერის დიდებულ მწერლის ვერაგულათ მოკვლის წლის თავზე დამგლოვიარებულთ, ველარ მოვასწარით, გულმაც ალარ მოგვცა, საიუბილეო, სამეჯლისო ფერხულში ჩავმდგარვიყავით და ჩვენი ხმაც შეგვეერთებინა საერთო ლიტანიისათვის. ეხლა მით უფრო მეტის გულმოდგინებით და აღტაცების კრძალვით ვასრულებთ ამ ცოტა შეგვიანებულ, მარა დიდათ საპატიო ვალს. რუსების უდიდეს მწერალს, მთ ეროვნულ დიდებასა და სიამაყეს ლევ ტოლსტოის ვუგზავნით მხურვალე სალამს მის დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო და ვუსურვებთ კიდევ დიდ ხანს სიცოცხლეს რუსებისა და მთელ კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

გზა-და-გზა.

V

ჩვენი ქვეყნის ავტონომია.

რუსეთის იმპერიაში ერთი „განაპირა ქვეყანა“ კავკასიაც არის. სოციალ-ეკონომიური ვითარებით ამიერ-კავკასია ერთი განსაკუთრებული მთელია დანარჩენ რუსეთთან შედარებით. აი სწორეთ ეს მოსაზრებაცა აქვს წინ წამძღვარებული ს. დ. პარტიის ცნობილ დადგენილებას, რომელიც აღიარებს იმ საჭიროებას, რომ „ადგილობრივ კულტურულ-ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მთელი ამიერ-კავკასია უნდა შეადგენდეს საოლქო ერთეულს ცენტრალური ორგანოთი“. ამ დადგენილებას ამბ. ჩხენკელი პოლიტიკურ სიბრძნეთ თუ არა სთვლის, დიდის ქებით მაინც იხსენიებს. მისი აზრით ეს დადგენილება არის „პრინციპიალური დეკლარაცია“, იგივე „ჩვენი ტაქტიკის საფუძველია და აქედან მისი მნიშვნელობა განუზომელია“ („ხომლი“ № 20), მაგრამ ეს ქება ა. ჩხენკელის მხრივ არის მარტო xacon de parler (ლაპარაკის მანერაა), ნამდვილათ კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ—იგი ამ დადგენილებაში „ქვა-ქვაზე არ სტოვებს“ და მას თავიდან ბოლომდე უარჰყოფს. მისი აზრით დადგენილება ისეთ შეუსაბამოებას შეიცავს, რომ მისი განხორციელება საშინელ უბედურებას დაატეხავდა ს. დ. პარტიას და მთელ ქვეყანას. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ამ დადგენილებისადმი ჩვენ „ნაზი გრძნობებით“ არა ვართ გამსჭვალულნი, მისი უარყოფა ჩვენთვის მხოლოთ სასიამოვნო იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაში დადგენილებას მაინც უნდა რამოდენათმე „გამოვესარჩლოთ“, რათა გავარღვიოთ მის მიერ დასახულ ორგანიზაციის ადმინისტრატიული ჩარჩოები და შიგ შევიტანოთ აუცილებელი პოლიტიკური შინაარსი.

დავიწყოთ რიგზე. არის თუ არა ისეთი საერთო საქმეები, რომელიც საჭიროთ ხდიდეს ამ ქვეყნის ხალხთა ძალ-ღონის შეერთებას, კონცენტრაციას და მაშასადამე საჭიროთ ხდიდეს ამისათვის სათანადო ცენტრალურ იერიდიულ ორგანოებს? დიახ, არის ასეთი საქმეები. ამას გვატყობინებს თვითონ ა. ჩხენკელი. იგი სამართლიანათ სწერს: „ყოველ ექვს გარეშეა არსებობენ მრავლისაგან მრავალი სოციალ-ეკონომიური მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება უფრო უკეთ და ჩქარა შეიძლება, თუ ამიერ კავკასიის ყველა ხალხები საერთო ძალ-ღონით მოისურვებენ მოქმედებას. მაგალითებისათვის შორს წასვლა არაა საჭირო. აიღეთ ამიერ-კავკასიის მთა-გრეხილები, მათი ტყეებით, მადნეულობით, მინერალურ წყლებით და მდინარეებით. ამ აუარებელ ბუნებრივ სიმდიდრის რაციონალურათ გამოყენება ერთი უმაღლესი დანიშნულებაა, რომლის ასრულებაში ყველა ხალხები უმწვერვალესათ დაინტერესებულნი არიან, ამისათვის საჭიროა მათი სულიერ და ნივთიერ ძალების კონცენტრაცია... მტაკობრივი მეურნეობა, რომელიც ახლა არის გბატონებული ბიუროკრატიის წყალობით, სრულიად გაავერანებს მთელ მხარეს, თუ ადგილობრივი მკვიდრნი გონზე არ მოვიდენ, სანამ გვიან არ არის“ (იქვე). მერე განა აქ დასახელებულ საქმეების შესასრულებლათ საკმაო არის ადგილობრივ მკვიდრთ მიენიჭოთ უფლება თვითონვე ირჩევდენ ხოლმე თავისს მოხელეებს (ადმინისტრატიული თვითმართველობა)?! რას აქნევთ არჩეულ მოხელეებს, თუ კი თვით ამ საქმეების დაწყება-გაძღოლა, მიმართულება და ხასიათი დამოკიდებულია უცხო, გარეშე ცენტრზე. რომლის განუწყვეტელი ზრუნვაა თავის საწველ ფურათ გიყოლიოთ? კავკასიის მთა-გრეხილებისა და ველების გვირაბებით, არხებით და სამიმოსვლო გზებით დასერვა ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ როგორ გნებავთ ეს შეასრულოთ, თუ კი ყოველ ცოტათ თუ ბევრათ საყურადღებო გზის გაყვანისათვის „რაზრეშენიას“ უნდა უცდიდეთ პეტერბურგიდან; ან როგორ უნდა გამოიყენოთ გზა, თუ კი პეტერბურგისაგან დადებული ტარიფი ძირს უთხრის ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობას და არც ადგილობრივ მგზავრების ჯიბეს შეესაბამება? და ან ვინ თუ რა იქნება იმის თავდები, რომ გონზე მოსული ადგილობრივი მკვიდრნი ერთ მშვენიერ დღეს არ აღმოჩნდებიან ფეხ-ქვეშ ნიადაგ გამოცლილნი? თუ კონსტიტუციონური რუსეთი მომავალშიაც განაგრძობს თავის „ქებულ“ კოლონიალურ პოლიტიკას“ და „გამარუსებელ გადასახლებას“, უმწეოთ

დარჩენილი ადგილობრივი მკვიდრნი, რასაკვირველია, იძულებული გახდებიან გუდა-ნაბადი აიკიდონ და მაწანწალებათ განიბნენ მთელ დედა-მიწის ზურგზე, ვითარცა მრავალ ტანჯული ებრაელთა ერი განიბნა მას ჟამსაშინა. და რომ რუსეთის კონსტიტუცია და დემოკრატიულ პრინციპების დეკლარაცია ვერაფერი ავგაროზია დასახელებულ უბედურების თავიდან ასაცილებლათ, ამას გვატყობინებს... იგივე ა. ჩხენკელი. „გერმანიის კონსტიტუციის მესამე მუხლი—სწერს იგი—გარკვევით და გადაჭრილათ აღიარებს ქვეშევრდომთა სრულ თანასწორობას როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ. მიუხედავათ ამისა, აბა შეხეთ, რას სჩადის გერმანიის ნაწილი პრუსია-პოზნანში, ელზასში და შლეზვიგში, სადაც პოლონელნი, ფრანგნი და დანელები განიცდიან უწყალო ჩაგვრას. იმავე პრუსიამ შეზღუდა პოლონელთა უფლება კერძო საკუთრებაზე და ეს მაშინ, როცა შემზღუდველნი—კონსერვატორნი და ნაციონალ-ლიბერალები—მთელის ძალ-ღონით იცავენ კერძო საკუთრებას სოციალისტების წინააღმდეგ. თვით საყოველთაო არჩევნებზე დაფუძნებულმა რეიხსტაგმა მიიღო კანონი არა გერმანელთა ერის წინააღმდეგ. ავსტრიის კონსტიტუციის მე-19-ტე მუხლი სრულიად მკაფიოთ აღიარებს „თანასწორობას ყველა ნაციათა და ენებისას“, მაგრამ, რაც აქ ხდება სწორეთ ამ „ნაციათა ენების წინააღმდეგ, კალმით აუწერელია“ და სხ. (იქვე) აქ აღნიშნულ ნაციონალურ მჩაგვრელობის წინააღმდეგ რომ ადგილობრივი თვითმართველობა და მოხელეების არჩევა არაფერ გარანტიას არ წარმოადგენს, ეს კარგათ იცის თვით გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფემ. დიდი ლარი და ხაზი არ ესაჭიროება იმის გაგებას, რომ ეს გარანტია არის და უნდა იყოს პოლიტიკურ ხასიათისა და მისი განსახორციელებელი და მისი დარაჯიც უნდა იყოს თვითონ დაინტერესებული ნაცია თუ ნაციები. კავკასიაში ბინადარი ნაციები ცალკ-ცალკე აღებული საკმაოთ სუსტნი არიან რუსეთთან შედარებით, მაგრამ ყველანი ერთათ კი ისეთ ძალას წარმოადგენენ, რომლის წინაშე იძულებული გახდებოდა ქედი მოეხარა თვით უძლიერეს ბრიტანიის ცენტ. პარლამენტს. საერთო ნაციონალური მონობის უღელი კავკასიელ ნაციებს ავალებს მათ ძმურათ ხელი მისცენ ერთმანეთს საერთო ბედ-შაობის თავიდან ასაცილებლათ.*) მათ უნდა გარს შემოიკრან პოლიტიკური სარტყელი, ე. ი. კავკასიის ტერიტორიაზე უნდა მოიპოვონ სახელმწიფოებრივი უფლობა და საკუთარ სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების გამწესრიგებელნიც (კანმდებელი) თვითვე უნდა იყვენ. ერთი სიტყვით, ეს ქვეყანა უნდა ავტონომიურათ აიჯაგროს და მისი ცენტრალური ორგანო (საოლქო სეიმი და სხ.) უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ პარლამენტს და არა ადმინისტრატიულ ორგანოს. დიახ, კავკასია უნდა იყოს რუსეთის სახელმწიფოს ავტონომიური ნაწილი.

მაშ—დაასკვნიან ამხ. „ცენტრალისტები“—თქვენ გინდათ რუსეთსა და კავკასიას შუა გაავლოთ საბაჟო და სადამოჟნო გალავანი, რაიც ყოველად რეაქციონურ-რეგრესიულია, რადგან ეს ნიშნავს კაპიტალისტურ განვითარების შეფერხებას! მართალია ეს თუ არა?—არა, არ არის მართალი. ჩვენ კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ ავტონომია არ არის რაიმე ერთხელ და საბოლოოთ განსაზღვრული ორგანიზაცია, სიტყვა „ავტონომია“, როგორც უკვე ვიცით, აღნიშნავს მხოლოდ მოქმედების ხასიათს და მოქმედების სივრცე კი შეიძლება იყოს სულ სხვა და სხვა, ადგილის და დროის მიხედვით. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ რა მოთხოვნები იქნება ხალხისგან წამოყენებული და რა ძალა გაუმაგრებს ზურგს ამ მოთხოვნებს. ასე რომ ავტონომია უეჭველათ არ იგულისხმებს საბაჟო და სადამოჟნო უფლებას. ეხლა ვიკითხოთ, ვინ იქნება ამ უფლების მომხრე, ვინ მიიწადინებდა კავკასიასა და რუსეთს შუა სადამოჟნო გალავანის გაკეთებას? რასაკვირველია მხოლოთ წვრილი ბურჟუაზია, რომელიც მინაბრებულია საშინაო, ადგილობრივ ბაზარზე და რუსეთთან თითქმის არაფერი საქმე არა აქვს. სამაგიეროთ წინააღმდეგი გამოვიდოდა მთელი დანარჩენი ქვეყანა, მუშა ხალხი და საშუალო და მომსხო ბურჟუაზია. ამასთანავე რუსეთიც ამ სადამოჟნო საზღვარის გავლებას თითქმის ისეთსავე წინააღმდეგობას გაუწევდა, როგორც სრულ განცალკევებას, კავკასიისაგან ცალკე სახელმწიფოს დაარსების წადილს. ასეთ პირობებშ კ ცხადია, აღნიშნული გალავანი მხოლოთ ჰაერში დარჩებოდა გავლებული.

კავკასიის ერთა ფართე მასსა დიახაც რომ დაინტერესებულია არავითარი სადამოჟნო და „პალოები“ არ არსებობდეს არც რუსეთსა და კავკასიას შუა და არც თვით კავკასიის შიგნით. საკუთარი სადამოჟნო უფლება კავკასიისათვის სასარგებლო იქნებოდა მხოლოთ უცხოეთის სახელმწიფოთა მიმართ. ეს უფლება მას საშუალებას მისცემდა წინააღმდეგ რუსეთისა კარები გაეღო ევროპისაკენ და მით ხელი შეეწყო ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობის უმაღლეს განვითარებისათვის.

თვითონ ა. ჩხენკელსაც არა სჯერა სადამოჟნო-საბაჟო „პალოების“ თუ გალავნების გაკეთების შესაძლებლობა. მაშასადამე, ეს არგუმენტი ავტონომიის წინააღმდეგ თავისთავად ქარწყლდება. მაგრამ ა. ჩხენკელს მოყავს სხვა უფრო საყურადღებო არგუმენტი. იგი სწერს: „დაკვირდით საგანს კიდევ უფრო ბეჯითად და თქვენ არ გაგიძნელდებათ ამიერ-კავკასიის საერთო სეიმის მოღვაწეობის გათვალისწინება. უფრო ჭრელი და დიამეტრალურათ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ლტოლვილებათა ერთ ადგილას დაგროვებას, ერთ მაღაროში დაგუბებას თქვენ სიზმარშიდაც ვერ დაინახავთ. სოციალდემოკრატია გაურბის ნაციორალურ ბრძოლას,—

*) ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ ერთ პარტიობას, რაც კიდევ შესაძლებელი იყო გასულ საუკუნეს დამდეგს და მაინც დღეს ძვნე უტოპია იქნებოდა, მარა ეს საკითხი არ შეადგენს ამ წერილის საგანს.

საოლქო კრებაზე კი მივიღებდით ნაციონალისტურს, სარწმუნოებრივს, პრიმიტიულ გვარტომურს და სისხლით შურის მძიობრივს! (კურსივი ავტორისაა). სოციალდემოკრატია უმწვერვალესათ დაინტერესებულია კლასობრივ წინააღმდეგობათა გამოაშკარავებაში,—საოლქო კრებაზე კი ჩვენ მივიღებდით მათ წყვდიადში გახვევას".

ამბ. ჩხენკელი, ცოტა არ იყოს, საქმეს აზვიადებს, მაგრამ მის მიერ დასახული პერსპექტივა დაახლოვებით მაინც უეჭველათ აცხადდებოდა, თუ კი ცხოვრებაში გატარდებოდა პარტიის ცნობილი დადგენილება, რომელიც ამიერ-კავკასიის სეიმს ავალებს აქ მცხოვრებ ნაციათა ერთ საერთო კულტურულ „ავტონომიის" განხორციელებას. ჩვენ საქმის ასე დაყენების წინააღმდეგი ვართ. თუ ჩვენ ვისარგებლებთ ახალ ისტორიის გაკვეთილებით, ვიხელმძღვანელებთ ნაციონალურ საკითხის თანამედროვე ცოდნა-გამოცდილებით და სავსებით შევიგნებთ ავსტრიის მაგალითებს, ჩვენთვის აშკარა იქნება საჭიროება კავკასიის საოლქო სეიმს ჩამოერთმეოდეს ნაციონალ-კულტურული საქმეები და ეს გადაეცეს. მოდეს სათანადო ნაციონალურ საბჭოებს და ან ნაციონალ-ტერიტორიალურ კანტონალურ სათათბიროს, გარემოების მიხედვით.

ამ პირობის შესრულება საოლქო სეიმში ნაციონალურ ბრძოლას მინიმუმამდე დაიყვანს და სულაც გააქარწყლებდა, რომ კავკასია ერთ და იმავე კულტურულ დონეზე იდგეს და მისი სხვა და სხვა კუთხეების სოციალ-ეკონომიურ ვითარების იგივეობაც რომ ფაქტი ყოფილიყო. მაგრამ სამწუხაროთ ეს აგრე არ არის. ამბ. ჩხენკელი მართალია, როცა სწერს: „საქმეც სწორეთ იმაშია, რომ ამიერ-კავკისიის წვრილი ხალხები ერთ და იმავე კულტურულ საფეხურზე არა დგანან. ისინი განირჩევიან ერთი მეორისაგან მეურნეობის წესით, უფლებრივი წარმოდგენით, თვით საკუთრების ფორმებით, ენით, სარწმუნოებით, თემურ და ოჯახურ განწყობილებით, ზნე-ჩვეულებით, ტრადიციებით. ისტორიულ წარსულით, განათლებით და მრავალი სხვით... კავკასიის მთა-გრეხილებზე და კარგა მოზრდილ ბარზე დამკვიდრებულ წვრილ ხალხებს მინიჭებული აქვთ მთავრობისაგან განსაკუთრებული უფლებანი, როგორც საჯარო-სათემო თვითმართველობაში, ისე პიროვნულ-სამოქალაქო ურთიერთ განწყობილებაში, ისინი არ ექვემდებარებიან იმპერიის ჩვეულებრივ წესებს... ამ წვრილ გვარტომობას და ჩამოყალიბებულ ერების ურთიერთი შეუხამლობა და შეუსაბამობა, როგორც ეკონომიაში, ისე პოლიტიკაში, ეს დაინახა ბრმა ბიუროკრატიამ, ეს უნდა დაინახოს სოციალდემოკრატიამ". ჭეშმარიტათ, რომ ასეა და სწორეთ იმიტომ, რომ ეს ასეა, ჩვენ ვითხოვთ კავკასიის კუთხეების კანტონალურ თუ შტატებრივ ორგანიზაციას, როცა ცენტრალურ სეიმიდან თუ პარლამენტიდან ნაწილი პოლიტიკურ, მოქალაქობრივ და სისხლის სამართლის უფლების კანონ-დება გადაეცემის შემდგენელ ნაწილებს—კანტონებს. მკითხველმა არ უნდა იფიქროს, ვითომ ჩვენი გეგმით კავკასია უნდა შეადგენდეს ამერიკის, შვეიცარიის, ავსტრალიის და სხ. უბრალო კოპიოს. ბრმა მიმბაძველობა არაფერში არ არის სახეირო და არც ამ შემთხვევაში იქნებოდა ფარსაგი. საქმე ის არის, რომ კანტონებათ დანაწილება კიდევ არ აგვაცილებდა თავიდან ნაციონალურ ბრძოლას, რადგან აქ ტერიტორიალურ პრინციპი ყველგან არა ჰფარავს ნაციონალურ პრინციპს, ე. ი. ერთ ტერიტორიალურ ერთეულზე არეულნი არიან სხვა და სხვა ნაციები, და აკი ამიტომაც ჩვენ ხაზს ვუსვამთ ნაციონალ-კულტურულ ავტონომიის საჭიროებას.

ნაციონალ-კულტურული ავტონომია და კანტონალური მოწყობილება კავკასიაში საუკეთესოთ სწყვეტავს ნაციონალურ საკითხს. მაგრამ ამბ. ჩხენკელი წინააღმდეგია კავკასიის ყველა ერების შეერთებისა ერთ მმართველობაში. მისი აზრით სოც.-დემოკრატია რამდენიც უფრო დაუკვირდება „ცხოვრების სიღრმეს, მით უფრო ნათლათ დაინახავს ამიერ-კავკასიის ხალხების ერთიმეორისაგან ღრმა განსხვავებას და მათგან შემდგარ საოლქო მმართველობის **უდროობას**"... მაშ ჯერ არ მომწიფებულან?? იგი კავკასიის უკან ჩამორჩენილ ხალხებისათვის არ იმეტებს არც ავტონომიას და არც საოლქო თვითმართველობას და ამ რიგათ ალბათ მათ სტოვებს ისევ „ბრმა ბიუროკრატიის" ამარა და მის „მტაცობრივ მეურნეობის" მსხვერპლათ. ამბ. ჩხენკელი მიგვითითებს იმაზედაც, რომ ამიერ-კავკასიის სხვა ხალხებს (ქართველებს გარდა) ჯერ არც კი დაულაპარაკნიათ, თუ როგორი წეს-წყობილება მიაჩნიათ თავისთვის საუკეთესოთ. მაგრამ როგორ დაილაპარაკებდენ ამას, როცა მათ ხმალ ამოწვდილი თავზე ადგანან და ტუქსავენ: თუ დაილაპარაკე რაიმე უფლებებზე უმალვე თავ-პირს დაგამტვრევთო. ამბ. ჩხენკელი უნებურათ მოსაჩრელ გამოდის იმ ბიუროკრატიულ-ბურჟუაზიულ „მომწიფების თეორიისა", რომლის მიხედვით კულტურულათ უკან ჩამორჩენილ ხალხებისათვის საუკეთესო აღმზრდელია „როზგი" და მათრახი თუ ხიშტები. სოც.-დემოკრატიას ამ „თეორიასთან" არაფერი საერთო არა აქვს. დემოკრატიული უფლებები და პოლიტიკური თავისუფლება სასარგებლოა ყველასათვის. ამიტომაც ჩვენი ვალია ამ უფლებისაკენ ავამოძრაოთ ამ ქვეყნის ყველა უკან ჩამორჩენილ ხალხები და თვით ისეთი მივარდნილი კუთხეებიც, სადაც ბიუროკრატიის წყალობით ჯერაც უტეხი წყვდიადია გამეფებული.

პრესსა.

—:—

ქართულ სერიოზულ პრესაში ჩვენ ძვირათ შეგვხვედრია და უცხოეთის რიგიან პრესაში კი სულ არ გვინახავს ისეთი ზერელე და ავყია სტრიქონები, როგორიც გამოფენილია გაზ. „შურდულში" (იხ. № 2

„პრესა“). გაზეთი ყოველგვარ სიაევესა და ყველა მომაკვდინებელ ცოდვებს გვახვევს თავზე მხოლოთ იმ საბაბით, რომ ილია ჭავჭავაძის ტრაღიკულათ დაღუპვის წლის თავზე ჩვენ ორიოდე მწუხარე და ნაღვლიანი სიტყვა აღმოგვხდა გულიდან. „შურდულში“ სიტყვა-სიტყვით ვკითხულობთ შემდეგს:

„ისტერიკაში ჩავარდნილა „ჩვენი კვალი“ და ნიშადურელების ენით ამეტყველებულა. ის სწერს: „დღეს წლის თავი არის ჩვენი სასტიკი მდგომარეობისაო, „**გათახსირებისა**“ (**ხაზს** უსვამს „შურდული“) და სხ. ვის გათახსირებაზეა აქ ლაპარაკი ვინ არის ეს „ჩვენ?“ უეჭველია, აქ იგულისხმება ქართველობა, ქართველი ხალხი, ე. ი. ქართველობა გათახსირებულა იმიტომ, რომ ვიღაც ორიოდე ვერაგმა ვერაგული საქმე ჩაიდინა. ასე სწერდენ შარშან ერთ ცხელ გულზე ჩვენი პატრიოტები, მაგრამ ამის განმეორება—რა' ნიშნავს, სიბრმავეს თუ სიყალბეს? განა ქართველობაა პასუხის მგებელი მისი დუხჭირი წევრის მოქმედებისათვის? მაშ, ექსპროპრიაცია-შანტაჟისტობის პასუხის-მგებელი ხალხი ყოფილა? ეს რეაქციის ლოღიკაა, როცა ვისმეს სადმე მოკლავენ, იქ ხალხს ეგზეკუციას უყენებენ, თქვენი ბრალიაო. ამ ლოღიკას დღეს დადგომიან „ჩვენი კვალის“ მესვეურნი..

ერთი სიტყვით, „ჩვენი კვალი“ იმეორებს ჩვენი მოწინაალმდეგეთა შარშანდელ ისტერიკას. მას ალბათ დიდათ სურს მათგან მამულიშვილობის დიპლომი მიიღოს და ასე ორ სკამს შუა მოიკალათოს.“

„შურდულის“ მეპრესე რომ თავისუფალი იყოს გულღვარძლიანობისაგან და წაკითხულის გაგების უნარიც ჰქონდეს, იგი არ დაიწყებდა ასეთ უმზგავსო ლათაიებს. არც „გულთ მისონობას“ შეუდგებოდა იმის შესახებ თუ „ვინ არის ეს „ჩვენ“? „ე. ი. ქართველობა გათახსირებულა“ო და სხვა. ჩვენ პირდაპირ ვწერდით, რომ ილიას მოკვლის ამბავმა ქართველ ხალხს თავ-ზარი დასცა, გული გაუგმირა და შეაძრწუნა, რომ 30 აგვისტო „წლისთავია ჩვენი ხალხის საუკეთესო და სათუთ გრძნობების ულვთოთ, ბარბაროსულათ შეურაცყოფისა და ფეხ.-ქვეშ გათელვისა“. (იხ. „ჩვ კვალი“ № 15) მაგრამ „შურდული“ მაინც იმ აზრს გვაწერს, ვითომ ილიას მკვლელობაში ჩვენ დაგვენახოს მთელ ქართველობის გათახსირება, ვითომ ქართველი ხალხი გვეცნოს პოეტის ვერაგულ მოკვლის თანაზიარათ, (ე. ი. სრული წინაალმდეგობა იმისი, რაც გამოთქმულია ზემოთ ამოწერილ ჩვენს სტრიქონებში). ნუ თუ „შურდულის“ მეპრესეს არ მოეთხოვება არც ეთიკა, არც ლოღიკა და არც უბრალო გონიერება?!

რაღას ნიშნავდა, რას იგულისხმებდა ჩვენ წერილში სიტყვა „გათახსირება“ და „სასტიკი ბედ-შაობა“? მხოლოთ იმას, რომ ილიას მკვლელები არც ციდან ჩამოვარდნილან და არც ქვესკნელიდან ამოცვივნილან. გათახსირებული ელემენტები და მათი ბოროტმოქმედება ნაყოფია იმ საზოგადოებრივ ვითარების, რომელშიაც იმყოფება ესა თუ ის ხალხი... სრულიად ბუნებრივია თავ-მოწონებისა და სიამაყის გრძნობა, როცა ვინმე ჩვენი თანამოძმე თუ თანამემამულე შეასრულებს რაიმე სასიქადულო საქმეს, და ასევე ბუნებრივია თუ მწვავე სირცხვილის გრძნობა გულს გვიღადრავს, როცა განვსჭვრეტთ ისეთ დაუჯერებელ სიმხეცეს, როგორიც იყო მგოსნის მოკვლა.

გაზ. „შურდულის“ მეპრესეს კი მხოლოთ პოლიციურ ადმინისტრატიული პასუხის გება ელანდება... რეაქცია ხალხს ეკზეკუციას უყენებს იმიტომ კი არა, რომ რაიმე სოციალურ პირობებზე ფიქრობდეს, არამედ მხოლოთ იმიტომ, რომ ჰგონია დამნაშავენი თავს აფარებდენ თვითონ გლეხებთანვე; მას უნდა დამნაშავენი შეიპყროს და დასაჯოს, რათა ამ რიგათ ბოროტებ(ა)ც მოსპოს, აღხოცოს პირისაგან ქვეყნისა. მისთვის ბოროტების თავი და ბოლო დამნაშავე პირებია, და არა სოციალ-პოლიტიკური პირობები. სწორეთ ასევე მსჯელობს „შურდულის“ მეპრესეც: „ვიღაც ორიოდე ვერაგმა ვერაგული საქმე ჩაიდინა“, აქ ხალხი და ქვეყანა რა შუაშიაო!.. აფსუს!..

გვეთაკილება, რომ ასეთი ელემენტარული, საანბანო განმარტებანი გვიხდება „შურდულთან“, გვაგონდება მისი „წინაპარი“ გაზეთები, და თვალწინ გვეყუდება პრესის დაკნინების აჩრდილი.

* *
*

გაზ. „შურდულის“ „პრესის“ დაკნინებასვე მოწმობს მისი მეორე შენიშვნაც სავაჭრო გაზეთის შესახებ.

თფილისის წვრილ ვაჭართა საგრძნობელი მასსა გუშინ, განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, მხნეთ მისდევდა სოციალდემოკრატიულ პარტიას, დღეს კი მას ცალკე ორგანიზაცია დაუარსებია, ცალკე ორგანო („სავაჭრო გზა“) გამოუცია და თავის საკუთარ პოლიტიკურ გზას ადგება. დაგვეთანხმებით, რომ ეს საკმაოთ საყურადღებო მოვლენაა. მაგრამ მთელ ამ მოვლენაში გაზ. „შურდულის“ მეპრესე ვერავის და ვერაფერს ხედავს გარდა... ბ-ნი მერკვილაძესი! მეპრესეს ერთი კითხვა და აინტერესებს: „მხოლოთ რა ნაირათ შეეძლება ბ-ნ მერკვილაძეს, ამ ქართველ წმინდა წყლის ნაციონალისტს, იყოს წარმომადგენელი ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის, „განურჩევლათ ეროვნებისა“, ეს ჯერჯეროობით გამოუცნობელია“. ჩვენ წინ საყურადღებო საზოგადოებრივი ძალის ახალი ორგანიზაციაა; და მისი ორგანოს წარმომადგენელი ბ-ნი მერკვილაძე იქნება თუ დარახველიძე ეგ სრულებითაც ვერ შესცვლის საქმის არსებით ვითარებას. პირები ჩვენთვის სრულებითაც არ არის საინტერესო. „შურდულის“ მეპრესე კი არ ეშვება ბ-ნ მერკვილაძეს და ასეთ ალტერნატივას უყენებს: „ორში ერთი: მან (მერკვილაძემ) თავისი ვიწრო ნაციონალიზმი ან უნდა დატოვოს, ან და თავის დროშის ქვეშ მარტო ქართველი წვრილი ბურჟუაზია უნდა დააყენოს და სხვებს ექსორია უყოს“. გულუბრყვილო მეპრესეს წარმოუდგენია, ვითომ ბურჟუაზიის ინტერნაციონალობაც იგივე იყოს, იმავე ხასიათისა, როგორიც არის პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი. ნამდვილათ კი ბურჟუაზიას ამ საკითხშიაც თავის საკუთარი ტიპიკონი აქვს. ბურ-

ჟუაზია დღეს და აქ ნაციონალისტია, ხვალ და სხვაგან ის ინტერნაციონალისტია, ან და ერთსა და იმავე დროს და ადგილას იგი ნაციონალისტიც არის და ინტერნაციონალისტიც. ყველაფერი დამოკიდებულია ბაზრის ვითარებასა და პოლიტიკურ პირობებზე.

წვრილ ვაჭრების ცალკე ორგანიზაციათ დარაზმვა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორც ერთ-ერთი სიმპტომი ჩვენი ცხოვრების სოციალ-პოლიტიკურ დიფერენციაციისა. ეს მაჩვენებელია საზოგადოებრივ წინ-მსვლელობისა. საზოგადოებრივ ჯგუფების გამიჯვნა და პოლიტიკური თვითგამორკვევა პროგრესიული მოვლენაა. რეგრესიული და გამათახსირებელია უპარტიობა, პოლიტიკური გამოურკვევლობა.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩ ვ ე ნ შ ი

ტფ. ქალაქის საბჭოს 9 სექტემბრის კრებას წარედგინება განსახილველათ ორი მოხსენება: ერთი ლ. ნ. ტოლსტოის 80 წლ. იუბილეის აღნიშვნის და მეორე ილია ჭავჭავაძის სახელობაზე ქალაქში სკოლის დაარსების შესახებ.

— როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ სამი თვის წინათ უგზო-უკვლოთ სადღაც გადაიკარგა სოფ. ახალქალაქის (ქართლი) მცხოვრები მემამულე თავ. თარხნიშვილი. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. ამის გამო მთავრობამ 25 მაისიდან სოფ. ახალქალაქის, ნოტის და ახალციხის მცხოვრებთ ეგზეკუცია ჩაუყენა (60 ყაზახი), რამაც საგრძნობელი ხარჯი მისცა გლეხებს. სამი თვის განმავლობაში მცხოვრებთ ეგზეკუციის შენახვა 9500 მან. დაუჯდათ. ხსენებულ სოფლის წარმომადგენელთ ამ მოკლე ხანში ინახულეს სახელმწიფო სათათბიროს წევრი კ. ჩხეიძე და სთხოვეს ეშუამდგომლა ეგზეკუციის მოხსნის შესახებ. კ. ჩხეიძემ ინახულა გენ.-გუბერნატორი, აუხსნა ხალხის გაჭირვება, რის შემდეგაც გენ.-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა ეგზეკუციის მოხსნის შესახებ.

— სოფ. ყაზბეგში (დუშეთის მაზრა) გენერ. გ. ყაზბეგმა თავისი ხარჯით გახსნა საქსოვ-სართავი სახელოსნო, სადაც სხვა და სხვა შალეულობის, ფარდაგების, ქუდების მატყლისაგან და სხ. მომზადებას ასწავლიან. ამ სკოლის თანახმათ გენერალ ყაზბეგის შუამდგომლობისა, შინა მრეწველობის კომიტეტს დაუდგენია ყოველ წლივ 600 მან. დაეხმაროს და თავისივე ხარჯით გაჰგზავნოს იქ თავისი ინსტრუქტორი.

— სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის მეორე სკოლაში, რომელიც გაიხსნება ვერაზე, ოლგინის ქ. ივ მაჩაბლის სახლებში № 52, ორშაბათს, 8 სექტემბრიდან იწყება მიღება წერა-კითხვის უცოდინარ და ცოტათი მცოდნე მუშებისა. მიიღებიან ორივე სქესის მუშები, ვინც 15 წლ. ნაკლები არ იქნებიან. სასურველია დაესწრონ მუშები ხსენებულ სკოლაში ჩასაწერა. შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირისა, საღამოს 6–8 საათამდის. სწავლის ფული სამს თვეს ღირს 1 მან.

— უმაღლესმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ადგილობრივ მკვიდრთაგან 60 პროცენტზე მეტი არ უნდა მიიღონ.

— სოფ. ღვანკითში (შორაპ. მაზ) 27 აგვ. პოლიციას დაუპატიმრებია პეტრე საყვარელიძე, რომელიც შარშან ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაიქცა სხვა პოლიტიკურ ტუსაღებთან ერთად.

— ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „გუთანი“, ოჯახსა და სკოლებში საკითხავი, შედგენილი ქუთაისის საზ. გიმნაზ. მასწავლებლებისა: ი. ორცხელის. თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. წიგნი სუფთად და კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი; შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს 80 კაპ.

რ უ ს ე თ შ ი.

— სიკვდილით დასაჯეს: კაზანში—ორი, რიგაში—ერთი.

—სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: კიევში—ცხრას, რადომში—ორს, მოსკოვში—ორს, რიგაში—რვას, პეტერბურგში—სამს, ირკუტსკში—ერთს, ვარშავაში—ორს, სარატოვში—სამს, ოდესაში—ორს, დვინსკში—ერთს, ეკატერინბურგში—ორს, პიატიგორსკში—ერთს, ვიტებსკში—ერთს. („რეჩი“ №№ 202—206).

— გაზ. „რეჩი“ დააჯარიმეს 3000 მან., რადგან მასში მოთავსებული იყო სტატია: „კიდევ ა. ნ. შვარცის პოლიტიკაზე“.

— მიუხედავათ იმისა, რომ შავმა ძალებმა ყოველნაირი ზომები იხმარეს ტოლსტოის იუბილეის გამართვის წინააღმდეგ, მაინც მათმა ცდამ ვერ ჩააქრო სრულიად დიდებულ მწერლისადმი მოზღვავებული სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ლ. ნ. ტოლსტოიმ მიიღო აურებელი მისალოცი დეპეშები და ადრესები, რომელთაც ხელს აწერენ მისი პატივისმცემლები. მთელი შეგნებული რუსეთი განურჩევლათ ეროვნებისა ცდილობს აღნიშნოს რითიმე ტოლსტოის სახელი. მას სწერენ სხვა და სხვა განმანათლებელ საზოგადოებათა საპატიო წევრათ, მის სახელზე აარსებენ სასწავლებლებს, სამკითხველოებს და სხვა.—აუარებელი მისალოცი ტელეგრამები მიუღია იუბილიარს ამერიკიდან, ინდოეთიდან, გერმანიიდან, ახალ ზელანდიიდან, იაპონიიდან, არ დარჩომილა არც ერთი კუთხე ქვეყნისა, რომ მის იუბილეის გამო არ გაემართოთ ლექციები, რომელთაც მიზნათ ქონდათ გაეცნოთ დიდებული მწერლის ნაწარმოებნი. რუსეთში კი... ბევრ ქალაქში ხმაც კი არ ამოიღებინეს ტოლსტოიზე. აუარებელი გაზეთები, რომელნიც შეეხნენ მას, დაკეტეს. ბევრს ადგილას რედაქტორებს და სტამბის პატრონებს წინდაწინვე ხელწერილი ჩამოართვეს, რომ არაფერს გაუშვებენ ტოლსტოის შესახებ. სადაც კი გაიმართა კრებები მის პატივსაცემათ, მას ყარაულობდა პოლიციის მზრუნველი თვალი. ამ ჟამათ ტოლსტოი ჯანსაღათაა და ჩვეულებრივათ შეუდგა მუშაობას.

— საპყრობილეთა მთავარმა გამგეობამ დაუგზავნა ციხეების უფროსებს ცირკულიარი, რომელშიაც შეტანილია შენახვის ახალი წესები იმ ტუსაღთა შესახებ, რომელთაც კატორგაში მუშაობა აქვთ გადაწყვეტილი და სხვა და სხვა ციხეებში კი იმყოფებიან ჯერ-ჯერობით. ახალი წესებით მათი ნახვა შეიძლება მხოლოთ თვეში ერთხელ (წინათ კი შეიძლებოდა ყოველ კვირა); მიწერ-მოწერაც ძალიან შევიწროებულია. აქამდის პატიმართ შეეძლოთ კვირაში ერთხელ გაეგზავნათ წერილი, წერილების მიღება კი განუსაზღვრული იყო. ეხლა კი მათ სახელზე შეიძლება გაიგზავნა და მიღება წერილებისა ციხეში მარტო ერთხელ თვეში.

— რადგანაც ფინლიანდიის სეიმს აზრათა აქვს შესცვალოს ფინლანდიის საქმეთა მოხსენების წესი, პეტერბურგის რეაქციონერებს გადაუწყვეტიათ ისარგებლონ ამ შემთხვევით და შეეცადნენ არსებულ სეიმის დათხოვნას და საარჩევნო ცენზის შემოღებას.

— კოსტრომის ციხეში 1-ლ სახელმწიფო დუმის—ვიბორგის მოწოდების გამო დასატიმრებულ—დეპუტატებს შეუსრულდათ სამი თვე. მიუხედავათ ამისა ისინი ციხიდან არ გაანთავისუფლეს და მეოთხე თვესაც დასტოვეს შიგ. მხოლოთ სასტიკი პროტესტის შემდეგ მეოთხე თვე შეუმცირეს 12 დღით.

— ბეკვდითი საქმეთა ინსპექტორმა ოდესაში ჩამოართო სტამბების პატრონებს ხელწერილი რომ ისინი არაფერს არ დაბეჭდავენ ტოლსტოის იუბილეის შესახებ.

— 1-ლი სახელმწიფო დუმის წევრს კორნილიევს გადაუწყვიტეს ორის წლით ციხეში დასატიმრება.

— მოსკოვის გაზეთებს აუკრძალეს პროტესტების ბეჭდვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ტოლსტოის იუბილეის დღეს.

ოსმალეთი.

— დიდის ამბითა და ზეიმით გახსნეს დამასკ-მედინის „წმიდა“ რკინის გზა სულთანის ტახტზე ასვლის დღეს. ეხლა დამასკიდან მედინამდე თავისუფლათ შეიძლება რკინის გზით მოგზაურობა. მედინიდან მეკამდე რკ. გზა გაყვანილ იქმნება ორი წლის განმავლობაში.

ამ დიდ ამბავს აუარებელი ხალხი დაესწრო ახლო-მახლო ადგილებიდან. გზა გახსნა განსაკუთრებულმა კომისიამ. დამასკიდან მედინამდე ხალხი ყველგან აღტაცებითა და აღფრთოვანებით ეგებებოდა კომისიას. ყველა სადგურები მორთული იყო ბაირაღებითა და ზეწარწერებით: **„თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“** გზაზე მომუშავე ბატალიონები დიდის დემონსტრაციებით ეგებებოდენ კომისიას; ჯარის კაცებმა ქუდებზე მიიკრეს კონსტიტუციონური ორ-ფეროვანი ნიშანი. ყველგან გაისმოდა თავისუფლების ჰიმნები, ხალხის ტანჯვაში ბამოზრძნილი აღმაფრთოვანებელი სიმღერები. მედინის სადგურზე, სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა ნაციონალურ გაზეთ „Al Lavva“-ს რედაქტორმა: „ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს,—თქვა მან,—დიდებულ შემთხვევას—პილიგრიმთა მოსვლას მედინაში, „წმიდა“ რკინის გზის გახსნასა და სულთან აბდულ ჰამიდის ტახტზე ასვლის თვეს. წინასწარმეტყველს არ სურდა, რომ რკინის გზა გაყვანილიყო წმიდა მედინამდე, ვიდრე სულთანი არ უბოძებდა ხალხს კონსტიტუციას“. ამ სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ყველამ შეფიცა, რომ კონსტიტუციისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ თუ ამას საჭიროება მოითხოვს. სადგურიდან ხალხი გაემგზავრა წმიდათა-წმიდა მეჩეთისაკენ, სადაც ქიაზიმ-ფაშამ გაიწოდა ხელი წინასწარმეტყველის აკლდამისაკენ და შეფიცა, რომ ყოველივე ძალ-ღონეს იხმარს მეკამდე რკინის გზის გასაყვანათა და კონსტიტუციის დასაცველათ. ამდროს მას მოუვიდა დეპეშა სტამბოლიდან, რომ იგი ჰეჯასის გუბერნატორათ დანიშნოო, ხალხმა დიდის აღტაცებით მიიღო ეს ცნობა; მოხუცი გენერალი ხელში აიყვანეს და მთელი ქალაქი შემოატარეს.

მედინის გუბერნატორათ ნამყოფი ოსმან-ფაშა ხალხმა შეარცხვინა და ქალაქიდან მანდეენა.

სვარსეთი.

— როგორც გაზეთის ცნობები გადმოგვცემენ თავრიზში სათარხანსა და ბინოდ-დოულეს ჯარს შორის ბრძოლა გრძელდება.

აგვისტოს გასულს ვინუდ-დოვლემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა შაჰს: „მეტი გზა არაა, უნდა დავსთანხმდეთ კონსტიტუციონალისტების ყველა მოთხოვნას და დაუყონებლივ შეიკრიბოს მეჯლისი. ბრძოლა უიმედოა“. რადგან შაჰი ავათ არის, ეს დეპეშა მიიღო ემირ-ჯენგემ, რომელმაც მკაცრი ბრძანება მისცა თავრიზის გენერალ-გუბერნატორს,,თავრიზი მიწასთან გაასწორე“ო.

— თეირანში რევოლიუციას ელოდებიან, ამისთვის გენერალი სანიხ-აზრატი აარსებს შავ რაზმს 200 კაცისაგან.

— როგორც თეირანიდან დეპეშა იტყობინება შაჰის პირველმა მინისტრმა შეატყობინა რუსეთის ელჩს, რომ ამ დღეებში გამოგიგზავნით მეჯლისში საარჩევნო უფლების კანონსო, ოქტომბერში დაიწყება არჩევნები და ნოემბერში, შაჰის დაპირებისამებ პარლამენტი შეიკრიბეაო. საჭიროა ვიცოდეთ თუ რა ღირებულებისაა ეს საარჩევნო კანონი? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამასს წინაზე „რეჩის'' კორეპოდენტს შაჰმ სთხოვა რუსეთის დუმის საარჩევნო კანონის ერთი ეგზემპლიარი, რაც მაშინვე კორეპოდენტმა დეპეშით დაიბარა პეტერბურგიდან, და მას, რომ ეს კანონი ეგზავნება რუსეთის ელჩს გადასასინჯათ, აშკარაა, რომ ეს იქნება რუსეთის დუმის საარჩევნო კანონის კოპია. არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოთ რამდენათ იქნება ის გატარებული ცხოვრებაში, ამას მომავალი დაგვანახვებს.

ცა ს.

ცავ! რას დაგვცქერი უსიცოცხლოდ გარინდებული,
რას მდუმარებ ყრუდ ხშირად მკროლი დაუდეგარი,
შურის ძიების შემომქმედო, უკუგდებული
მოიხმე ირგვლივ ძალთა ძალი შეუპოვარი,
რად არ იგრგვინებ, არ დაჰქექავ განრისხებული,
წუ თუ ძლეულ არს ძლიერება შენი მედგარი?
მაშ, რისთვის სდუმხარ, რისთვის მეთქი გაყუჩებული
და არ გაისმის სტიქიური ხმა უშიშარი?
ოხ, მეზიზღები! მძულხარ, ცაო, სახე მცინარე
როს დედამიწას ამ ჯოჯოხეთს კუპარ-ცეცხლ-დანთებულს
სრულად ვერ აქრობს, ვერც ანელებს ცრემლთა მდინარე,
და შენ კი გულ-ქვად დასცქერ ამ ცეცხლს ავარვარებულს,
ჰოი, ზეცაო, გესმის ღაღადი, ნუ იყრუებ ყურს,
გადმოჰხედევი გადაბუგული მაშვრალთა მხარეს,
ნუ აღმოიხეთქავ მათს გულიდან კრულვა, საყვედურს,

შეაშრე ცრემლი გატანჯულ ხალხს მარად მწუხარეს.
გარდაიცალე გულზე ლოდებრ შავი ღრუბელი,
რომლის სიშმაგე სულს უხუთავს ბედ-შავ უბედურს,
დაიხსენ იგი, დანთქმას უქადს ის ულმობელი,
ჩაჰქოლე, სტყორცნე ქვა და ლოდი პირ-ღია უფსკრულს.
მშობელო ცაო, ნუ თუ შველა ჩვენთვის არსით არს,
როს სისხლის მსმელნი ყვავ-ყორნები გვახვევიან გარს?
რად არ დაჰქროლებ მძარცველების ბუნაგს, საბუდარს,
და არ აღმოფხვრი, ამოჟლეტავ ამ ნიანგთა ჯარს?
რად არ იწყნარებ ცრემლთა ნაკადს ნთხეულ-დანაღვარს
და არ იბრალებ სუსტს მჩაგვრელთაგან ნაგვემ განამწარს.
ისმინე, ცაო! აგვაშორე უფსკრულს შავ საზარს,
ნუ მიგვცემ დანთქმას და განსაცდელს უთქმელ საშიშარს,
მოიღრუბლე, ცავ! ნუ იწვევ ჩვენს სიძულვილს და ბრაზს,
მიეც ნიშანი „ლეგიონებს„ მოუწოდე გარს,
დასჭექე! ამცნე შენი რისხვა „დემონს“ საზიზღარს,
იელვ-იგრგვინე, სტყორცნე მეხი მთასა ბუმბერაზს
იქუხე ცაო! აღამხდერე ღრუბელთა ჯარი,
შესძარ სამყარო! „აფთართ ბუნაგს“ სტყორცნე ისარი,
მოუწოდე ზღვას, ხმელეთს, გრიგალს, ჩამოკარ ზარი!
დაანთე ცეცხლი ბრძოლის ცეცხლი, ცეცხლი მძვივარი!

გ. ჭუჩიშვილი.

მაღალს წრეში.

(გაგრძელება. იხ. „ჩვენი კვალი“ № 15)

მოქმედება მესამე.

(სცენა წარმოადგენს საროსკიპოს ზალას. კედლებთან სკამებია გამწკრივებული. ერთ კუთხეში როიალია. კედელზე საათია. პირდაპირ ქუჩიდან შემოსავალი კარებია; მარცხნით მეორე ოთახში გასავალი კარი. როიალზე დამკვრელი ვალსს უკრავს. ქალები მიდი-მოდიან. ღამეა. სანთლები ანთია).

ერთი ქალი. (საათს მისჩერებია) რვა საათია და ჯერ კი არავინ არა გვწვევია!

მეორე. მოიცადე! ჯერ კიდევ ბევრს მოესწრები (იცინიან).

პირველი. (ღიმილით) რაც გინდათ, ისა სთქვით, უკაცოთ მოწყენაა.

მეორე. დაიკარგონ ყველა! მდიდრებიც და ღარიბებიც ყველა ძაღლებია, ყველა კაპეიკს დასტირიან! წინეთ ფულსაც მაძლევდენ. მიმასპინძლდებოდნენ კიდეც; ახლა არა თუ ფულს არ იძლევიან და არ მიმასპინძლდებიან, ლუდსაც კი არ მასმევენ, ლუდს. გუშინ ერთს პაპიროზი ვთხოვე და სადა მაქვს იმდენი ფული, რომ პაპიროზი ვიყიდოვო.

ერთი ქალი. ყველაზე უკეთესი ბებრები არიან. ამას წინათ არ წამაყვანა ერთმა! მგონია, ოთხმოცი წლისა იქნებოდა. (იცინიან) ფეხებს ძლივს მოათრევდა! (იცინიან) მამიჯდა გვერდით და ღიტინი დამიწყო. (იცინიან) ისიც იცინოდა, მეც ვიცინოდი. გამიმასპინძლდა საუცხოვოთ. ხუთ მანათიანი დამიტოვა და წაჩოკინდა!

მეორე. ახალგაზდები ა აფრათ არ ვარგანან, არაფრათ? ნამეტურ თუ სტუდენტია! გროში კაპეიკი არ აბადიათ.

პირველი. არა, სტუდენტები მე მიყვარს! არაფერი აქვთ, სამგიეროთ მხიარული ხალხია და კარგი ლაპარაკი იციან.

ერთი ქალი. შენ ალბათ არ გამოგიცდია და მეკი ზოგიერთა სტუდენტი მინახავს, უკანასკნელ მედროგეზე უფრო ტლანქია. (ამ დროს მოისმის სიმღერა სტუდენტების: გაუდეამუს იგიტურ, იუვენეს დუმ სუმუს. ვიტა ნოსტრა ბრევის ესტ, ბრევე ფინიეტურ. პოსტ მალესტამ იუვენტუტემ, ოსტ მალესტამ სენექტუტემ, ნოს ღაბეშიტ ღუმუს. ვივანტ ომნეს ვირგინეს, გრაციელეს, ფორმოზეს. ვივატ აკადემია, ვივანტ პროფესორეს. სიმღერა თანდათან ახლოვდება და ბოლოს ზალაში შემოვა ოთხი კარგათ შეზარხოშებული სტუდენტი.)

ქალები. (ერთათ) აა, კოლლეგები, კოლლეგები! (სტუდენტები ჩაერევიან ქალებში და ხან ერთსა ჰკოცნიან, ხან მეორეს. შეიქნება სიცილ-ხარხარი და ყივილ-ხივილი. მარცხენა კარებიდან გამოვა შუახნის ჩასუქებული ქალი—„მამაშა“. სიწყნარე ჩამოვარდება.)

მამაშა. ბატონო სტუდენტებო! გთხოვთ, წესიერება დაიცვათ. როცა კი თქვენ შემოხვალთ, მაშინათვე ერთი აურ-ზაური უნდა ასტეხოთ.

ერთი სტუდენტი. მამაშა! ნება მიბოძეთ, ხელზე გაკოცოთ! (წაიწევს ხელზე საკოცნელათ, მაგრამ „მამაშა“ ხელს აუქნევს) თქვენ ნუ შესწუხდებით, ძვირფასო მამაშა, მხიარულებას კი ნუ დაგვიშლით.

მამაშა. იმხიარულეთ, რამდენიც გენებოთ, ხოლო ნამეტანს ნუ ეზამთ.

მეორე სტუდენტი. ამხანაგებო! წინადადებას გაძლევთ, რომ ჩვენი ძვირფასი მამაშა მაღლა ავისროლოთ! (სტუდენტები გაექანებიან მამაშასაკენ, მამაშა უკან გავარდება. ქალები იცინიან. დაიჭერენ ერთ ქალს და მაღლა აისვრიან, შემდეგ მეორეს, მერე მესამეს. საერთო სიცილია. შემდეგ სტუდენტები ჩამოსხდებიან და თავებს აქნევენ დაღალულობის ნიშნათ).

ერთი სტუდენტი. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ამხანაგებო! ვიცეკვაოთ! მუზიკა! ტაპიორ! (დამკვრელი მიუჯდება როიალს) ვალს! (უკრავს ვალს, სტუდენტები და ქალები თამაშობენ). მაზურკა! (უკრავს მაზურკას; სტუდენტები და ქალები თამაშობენ).

ერთი სტუდენტი. (თამაშის შემდეგ) ამხანაგებო! მოდით ვიმღეროთ! (ვიმღეროთ, ვიმღეროთ, ისმის ხმები. შეგროვდებიან ერთათ და დაიწყებენ: Вы жертвой пали въ борьбѣ роковой любви беззавѣтной народу. ამ დროს გამოვარდება მამაშა და გააწყვეტინებს სიმღერას).

მამაშა. გაჩუმდით, გაჩუმდით! (ხელებს აქნევს) თუ ღმერთი გრწამდეთ! პოლიცია შამომივარდება.

სტუდენტი. პოლიციას აქ რა უნდა? აბა მოვიდენ! სულ კბილებს დავამტვრევთ.

მამაშა. ყველაზე უმალ თქვენ დაიმალებით და მე

კი შევრჩები ხელში! (იცინიან) სხვა რამე იმღერეთ, თუ გინდათ (გადის).

ერთი სტუდენტი. ამხანაგებო! მოდით, დავაარსოთ სახელმწიფო დუმა. (სიცილია, ჩინებულია, საუცხოოა, ისმის ხმები).

მეორე სტუდენტი. ამოვირჩოთ თავმჯდომარე. (ხმები: შენ იყავი, შენ თვითონ). ძალიან კარგი. (დაჯდება. სხვები იქით-აქეთ მოუსხდებიან. ჩაახველებს). დიდ მადლობას ვსწირავ საზოგადოებას ასეთი პატივისათვის და ვფიცავ, რაც დედამიწის ზურგზე როსკიპი ქალებია, იმათ სახელს, რომ მე ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულო. (საერთო სიცილია) საროსკიპოს წარმომადგენელნო! მორიგი საკითხი არის ქალთა თანასწორობა.

მესამე სტუდენტი. ბატონო თავმჯდომარეო! გთხოვთ სიტყვის ნებას.

თავმჯდომარე (თავს უკრავს თანხმობის ნიშნათ). სიტყვა ეკუთვნის დეპუტატს სერიოჟას, საროსკიპოს საპატიო წევრს (სიცილია).

მესამე სტუდენტი. საროსკიპოს მოქალაქენო! მამაკაცი და დედაკაცი სრული თანასწორნი უნდა იყვენ. ამიტომ მე შემომაქვს კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ყოველ ქალაქში, საცა კი ქალების საროსკიპოა, უნდა გაიხსნას მამაკაცების საროსკიპოც. საზოგადოება უკვე დიდი ხანია მომწიფებულია ამგვარი რეფორმისათვის. (საერთო სიცილია).

თავმჯდომარე. მიიღებთ თუ არა პატივცემული დეპუტატის კანონ-პროექტს? (ხმები: მივიღებთ, მივიღებთ!)

ერთი სტუდენტი. ძირს თავმჯდომარე და დუმა! გაუმარჯოს მაჩიჩს! ტაპიორ, მაჩიჩი! (დამკვრელი მაჩიჩს უკრავს, სხვები თამაშობენ, შემდეგ სიარულს დაიწყებენ ხელი-ხელ გაყრილი. შემოდის ორი აფიცერი და ქალებს დაუწყებს ორივე თვალიერებას).

პირველი აფიცერი (ერთ ქალზე უთითებს). იმას არა უშავს რა.

მეორე. არა უშავს რა, გვარიანია. წამოიყვანე. მეც აი იმას წამოვიყვან (მიუთითებს მეორეზე. მივლენ არჩეულ ქალებთან, ელაპარაკებიან, უცინიან, ნიკაპზე ხელს მოჰკიდებენ, ლოყებზე ბჟკენენ, შემდეგ ოთახში გასავალ კარებისაკენ წამოვლენ. იქიდან ამ დროს „მამაშა“ გამოვ.)

ერთი აფიცერი. მამაშა, დაგვიმზადეთ კარგი ვახშამი და კარგი ღვინო. (მამაშა თავს უკრავს და გაბრუნდება. აფიცრები ქალებიანა უკან გაჰყვებიან).

ერთი ქალი (თვალს გააყოლებს აფიცრებს). ჰმ, ჯოჯო! იმ აფიცერს სულ მე მივყავდი და ახლა კი ეგ შეეჩხირა ხელში. ჯოჯო! (გაბრუნდება).

მეორე ქალი. აი ამისთანა სტუმრები მესმის! კარგი ვახშამი და კარგი ღვინო! როგორ მოგწონსთ, ჰა! კარგი ვახშამი და კარგი ღვინო! (სტუდენტებს) თქვენ კი ლუდზედაც არა გვპატიჟობთ.

ერთი სტუდენტი. ეი, მოგვიტანეთ ლუდი! ლუდი! (ერთი ქალი გაიქცევა კარებისაკენ, მალე მობრუნდება, თან მოჰყავს მოსამსახურე, რომელსაც ბოთლებით ლუდი მოაქვს და ჭიქები. მოსამსახურე ბოთლებს ხსნის და ჭიქებში ასხამს. ქალები სვამენ).

მეორე სტუდენტი. (ჭიქას აიღებს ხელში) ,,სვამ თქვენს სადღეგრძელოს, მშვენიერი სქესის წარმომადგენელნო! თქვენ რომ არ იყოთ, ჩვენი საქმე გლახათ იქნებოდა (სვამს).

მესამე სტუდენტი (ჭიქით ხელში). თქვენა ხართ მსხვერპლი არსებული კაპიტალისტური წყობილებისა. გისურვებთ, რომ მალე დაიქცეს ეს წყობილება, ეს კედლები, რომლებიც თქვენ გამცირებთ და კარი გაეღოს თავისუფალ სიყვარულს. (სვამს. შემდეგ ფულს ამოიღებს და დადებს საინზე).

მეოთხე სტუდენტი. (ამხანაგს) შე ოხერო, მეტი თავისუფალი სიყვარული იუნება: ამდენს ქალებში რომელსაც მინდა, იმას ვაკოცებ. ასე არ არის, ჩემო მარგალიტებო? (ქალებს) მე რეჩები არ ვიცი (ჭიქას მაღლა ასწევს) იცოცხლეთ მანამდე, სანამ მე არ შემძულდეთ (სვამს).

პირველი სტუდენტი. ჩემო ძვირფასო კანაშკებო! იცოცხლეთ მანამდე, სანამ მე ქალები არ შემძულდეს. მერე კი, მერე სულ ყველა გაწყდით (სიცილი). სტუდენტი მღერის და სხვებიც მღერიან: ვივანტ ოძნეს ვირგანეს, გრაცილეს, ფორმოზეს. ვივატ აკადემია, ვიკანტ პროფესორეს. სიმღერით და თავის ნევით გადიან. ქალები დასეირობენ.)

ერთი ქალი. სტუდენტები. ამიტომ მიყვარს ფული არა აქვთ ,მაგრამ გულით მდიდრები არიან, მხიარულება უყვართ.

მეორე. მე კი აფიცრები მარჩევნია: მხიარულიც არიან და ფულიცა აქვთ. მშრალ მხიარულებას რა თავში ვიხლი?

მესამე. მაგათ თითო ჭიქა ლუდი ძლივს დაგვალევიეს და მანკა ღა ტანია ახლა კაი ბივშტეკსა და ღვინოს შეექცევიან აფიცრებთან.

მეოთხე. ის, ჯოჯო, ისა! დამაცადოს! ყოველთვის წინ უნდა წაეკეხოს და კარგი მუშტარი წამართვას.

მეხუთე. მე კი ბებრები მიყვარს. იმათ მხოლოთ ღიტინი იცან, მეტი არაფერი! (სიცილია) ფულს კი კარგათ იძლევიან. (ერთი მეორეს წასჩურჩულებს ყურში, შემდეგ მესამეს და ხმა მაღლა გადიკისკისებენ. შემოდიან ოთხი შუახნის მოხეელები. მოვრალები არიან; გაერევიან ქალებში და დაუწყებენ ალერსს.)

ერთი მოხელე. სილანს! ბატონი პროკურორი უნდა ვათამაშოთ.

მეორე (რომელიც პროკურორია). ჩემს დულციენეასთან დიდის სიამოვნებით (გვერდში მდგომ ქალს ნიკაპზე მოჰკიდებს ხელს).

პირველი. ანტონ პავლოვიჩ! გავიხსენოთ ჩვენი ახალგაზრდობა.

მეორე. დიდის სიამოვნებით, მაგრამ მეშინია: ვაითუ წავიულო რამე აქედან ჩემს ცოლს. (იცინიან თვითონ პროკურორი მადიანათ ხითხითებს და თავის გვერდში მდგომ ქალს ნიკაპზე უსვამს ხელს.)

მესამე. გადავაფურთხოთ ეშმაკს და, რაც იქნება, იქნეს.

მეოთხე. ცოდვილი კაცი ვარ. თვეში ერთხელ რომ არ შამოვისეირნო აქეთ, არ შემიძლია; მაგრამ ღვთის წყალობით ჯერ არაფერი მომიტანია აქედან ჩემი ცოლისათვის. (სიერთო სიცილია)

მეორე (პროკურორს) სტეპან პავლოვიჩ! როგორ არ გრცხვენია! მერე უჩვენოთ დადიხარ?

მეოთხე. თქვენ ახლაც ძლივს წამოგიყვანეთ და!

მეორე. ეეხ, რაც იქნეს და იქნეს! (აირჩევენ ქალებს და გადიან. ქალები დასეირობენ, იცინიან, დახტიან. შემოვა ლოთი, პირველ მოქმედებაში რომ იყო და ბარბაცით შეაჩერდება ქალებს).

ლოთი. (თავსა და ხელებს აქნევს და იცინის) აახ, თქვე კანაშკებო, თქვენა! მოდით რაღა, მაკოცეთ, ერთმა აქა, მეორემ აქა, მესამემ აქა! (ჯერ ერთ ლოყაზე იდებს ხელს, მერე მეორეზე, შემდეგ შუბლზე. ქალები მიჩერებიან და იცინიან. ლოთი თვითონ დაედევნება ბარბაცით ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს. ქალები გაურბიან და იცინიან.) სულ ყველას გადაგკოცნით, სულ ყველას. მე საშინლათ მიყვარს ქალების კოცნა. ქალი და ღვინო ყველაფერს მირჩევნია, ყველაფერს! (შედგება) ეეი! კანაშკებო! (ხელებს გაშლის) მაკოცეთ რაღა! (გამოუდგება კიდევ ქალებს. ერთი ფეხს გადუდებს და ლოთი ძირს გაიშლება. ქალები იცინიან, შამოეხვევიან და წიხლებს წაჰკრავენ კისკისით. ლოთი ნელა-ნელა წამოდგება. გაჩერდება დოინჯებით და თავს აქნევს) ეეი, მომიტანეთ ღვინო, ღვინო! ჩემი კანაშკების სადღეგრძელო უნდა დაგლიო! თუმცა მე ცოლი მყავს, მაგრამ ჩემი კანაშკები მაინც მიყვარს. ეი, ღვინო! (გამოვა ლოთის ყვირილზე მამაშა).

განი.

(შემდეგი იქნება),



შიმშილი სოფლათ.

—:—

თუმცა ცა მოკრიალებული იყო, მაგრამ ისე ჰყინავდა, რომ დედამიწაც კი იკრუნჩხებოდა ცივი ქარბუქი ადამიანს ძვალსა და რბილში ატანდა და ამონავებდა. მთელ ქალაქს, სადაც სიცოცხლე მუდამ დუღს და გადმოდის, იმ დროს თითქოს ეძინა და ისე იყო მიყრუებული, რომ აქა-იქ ქარისაგან გაჩერებულ ტრამვაის ვაგონებს თუ შეამჩნევდით, თორემ მათ მეტს, ქეციან ძაღლსაც ვერსად ნახავდით. მოვრბოდი მეც სა-

შიმშილის მსხვერპლი.

მსახურიდან მშიერი და დაღლილ-დაქანცული. გული ბორბოტებით მეღრინებოდა, საშინლათ ვბრაზობდი, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცოდი, ვისზე და რისთვის; მხოლოდ როდესაც სასტიკმა ყინვამ ჩემს, ისედაც დაღლილ სხეულს, შეუბრალებლათ მუხრუჭი მოუჭირა და ფილტვებამდინ შეატანა, როდესაც ცივმა ქარმა დაქანცულ თვალებში ერთი ფუთი მტვერი შემომაყარა, მაშინ ამომხდა წყევლა-კრულვა ჩემი გაჩენის დღისა, შეჩვენება მუდმივ ტანჯვისა და სხვათა ბედნიერებისა. სიბრაზისაგან კბილებ დაკრეჭილს მინდოდა გზაზე ვისმე დავჯახებოდი, რომ მერე მაზე ჩემი ჯავრი ამომეყარა, მივრბოდი დიდხანს, მაგრამ ადამიანიშვილს არ შევხვედრივარ და ეს უფრო გულს მიშფოთებდა, რადგანაც ის არე-მარე მხოლოდ თავისუფალ ქარს დარჩენოდა, რომელიც კვნესა-გრიალით მარტო მომწყვდეულს ისე

სასაცილოთ მათამაშებდა, თითქო ყველა ჯავრს ჩემზე ყრილობდა. როგორც იყო განვლე ეს ქუჩა კვნესა-წუხილით და როდესაც ერთ ფართო ქუჩისკენ შევუხვიე, იქ ერთ მაღაზიასთან ადამიანის მსგავსი რაღაც, ძონძებში შებორბლილი შევამჩნიე. იდგა საბრალო მარტოკა და მოძრულ ფეხებს ფილენჯის ქარიანივით საცოდავათ აბარტყუნებდა. მე რომ თვალი შემასწრო, უეცრათ კუთხეს თავი ანება და წინ გადმომეღობა.

— ქალბატონო! შენ თავს შემოგევლე, იყიდე ეგ ჩირები და ტყლაპი, იაფათ მოგცემ, შენი ჭირიმე, იყიდე, თორემ მოვკვდი სიცივით, აღარ შემიძლიან ამდენი დგომა, რომ არ გამეყიდოს კი დღეუპვით დავიღუპები ღვთაების მადლმა!—შემომძახა უეცრათ ისეთ ხმაზე, რომ გულ-დმშვიდებული ადამიანი რომ შეხვედროდა, უეკვეულათ ატირდებოდა; მე კი, იმის მაგივრათ, რომ ან ჩქარა გვერდი ამექცია, როგორც მრავალნი სჩადიან, ან კიდევ დამეფასებინა მაინც, ერთ ალაგას გაქვავებულივით შეეჩერჯი და თავით ფეხამდე ისეთი თვალით ავზომე, რომ საბრალო უეცრად შეძრწუნდა და უკან დაიხია. არ შემიძლიან გამოვსთქვა ის, რასაც მაშინ ჩემი გული და გონება გრძნობდა, არ შემიძლიან იმითომ, რომ ყოველი სიტყვა მისთვის მიუდგომელი და უფერული იქნება...

— იყიდე, ღმერთი გაგაძლიერებს,—გაიმეორა უფრო ჩუმათ, თითქოს ვედრებით და თან კი შეშინებულმა უფრო უკან დაიწია. აქ კი როგორც იყო დავძლიე ჩემს გრძნობას და ათრთოლებულმა გაოცებით შევსძახე:

— ბიკო, მიხა, შენა ხარ! ნუ თუ ვეღარ მცნობ? გამარჯობა შენი!

ამის გაგონებაზე მან ერთი ნაბიჯით კიდევ უკან დაიხია, მხრიდან დაგლეჯილი ხურჯინი მოიშორა, ჩამოფხატული ნაბდის ქუდი მაღლა აიწია და ახლა კი თამამათ შემომაჩერდა, თუმცა სახე სრულიად გალურჯებული ჰქონდა სიცივისაგან, მაგრამ გამომეტყველება კი ერთ წამს შეეცვალა.

— აი ვენაცვალე ღვთის განგებასა! დაიცა შენი ჭირიმე... შენა... ჩვენი ა... არა ხარ?—შემომეკითხა იმედ მოცემულმა ღიმილით, ჩირები მეორე ხელში გადაიწყო და, შეშის მსგავსათ, გაყინული მარჯვენა გამოიწოდა.

— ვენაცვალე ღმერთსა... ქალაქსა ხარ განა, რა...—აქ კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ქარმა ისე მკაცრათ დაბერა, რომ მტვრის ბურუსში გახვეულნ სუნთქვა შეგვიკრთო და ერთი მეორეს კინაღამ გვახალა. რა თქმა უნდა, იქ დგომა და ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელი იყო, ან კი რა ემუსაიფებოდა გათოშილ, დაღლილ და მშიერს კორიანტელში, როდესაც გული ვინ იცის რა გვარი სევდებით ესერებოდა. დასვენება უჭირდა საბრალოს, მაგრამ საუბედუროთ განა ღა შემეძლო იმის ფიქრი, რომ შორით მოსული, ჩემი მიწა-წყლის შვილი, პატარაობის ძვირფასი ტოლი და ამხანაგი სახლში მიმეპატიჟა და თავმომწონე ახალგაზრდა, მაგრამ შიმშილისაგან დამცირებულ და განადგურებულისათვის ღვიძლ ძმასავით გული და სული გადმეშალა, სევდით სავსე, ნორჩი, მაგრამ ვაებისგან უდროოთ დახშული გული ტკბილი სიტყვით დამეტკბო და მენუგეშებინა? დიახ, არ შემეძლო, რაგვანაც, ხომ მოგეხსენებათ, პაწია და ყველასათვ ს უმნიშვნელო მოხელის ცხოვრება? უდედ-მამო და უსახლ-კაროს თავი ორ გროშათ სხვის კერას მქონდა შეფარებული და ერთი უსაბედო დიდი ლუკმაც კი მეყვედრებოდა... მაგრამ... ეჰ... თქვენ თვითონ მიხვდებით, მკითხველო, ჩემს მდგომარეობას და ეგ თქვენი თანაგრძნობა უფრო უკეთ გიკარნახებთ მაშინდელ ჩემს გარემოებას. კიდევ დახე ბედნიერებას! იმ დღეს, თუმცა დალოცვილ ოცს გადაცილებული იყო, მაგრამ, თითქოს განგებ, ჯამაგირი ავათმყოფობის გამო დამიგვიანდა და წინა დღით მიღებულიდან ჯიბეში სამი მანეთი მიჩხაკუნებდა. გამახსენდა თუ არა ეს ბედნიერება (ბედნიერებას იმიტომ ვეწოდებ, რომ ოცში, სანამ სამსახურს გავათავებდი, მანამდისინ ჩემსაებ გაჭირვებული მოვალეები და სახლის პატრონი ქალი გარედ, კარებში მელოდენ და იქვე მძარცვავდენ) მიხა ერთ წამს მაღაზიაში შევიყვანე და იქ მყოფთ დასვენება და საუზმე მოვთხოვე.

— აბა ახლა მიამბე, ჩემო მიხა, დაწვრილებით, როგორ არიან ჩვენი სოფლელები, ან შე დალოცვილო, საქმე ისე როგორ გაგჭირვებია, რომ ამ ჯოჯოხეთ დღეს მხოლოდ ჩირებისთვის იყინებოდი?—შევეკითხე მე, როდესაც დამშეულმა სამი გირვანქა პურით და ძეხვით ცოტაოდნათ კუჭი ამოიავსო და სიცივისაგან და ჭარხლებულ-ცრემლ მორეული თვალები მწვავე ღიმილით შემომანათა.

— ეჰ, შენი ჭირიმე, რაღა რა ამბავია, ე შენი ბრძანებისა არ იყოს, ამითანა ჯოჯოხეთ ზამთარს, ამოდენა კაცი ვარ, ჯერ არ შევყრივარ,—მიპასუხა რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, დაბლა დახრილი თავი სასოწარკვეთილებით რამდენჯერმე მძიმეთ გაიქნია და ნელა განაგრძო:

— აბა, შენი ჭირიმე, საიდან დავიწყო, ან რომელი ერთი ვარამი და გაჭირვება გადმოგცე. განა შენ თვითონ არ მოგეხსენება, თუმცა ე ჩვენი საწყალი გლეხკაცი მუდამ შიმშილს და სიცივეს დაჩვეულია, მაგრამ ე წრეულს კი მეტი ღვთის რისხვაა. წორეთ გაგონებითაც არ გამიგონია ი ჩემი მამა-პაპისაგან ასეთი ამბავი, რასაც ეხლა ვხედავ, მგონი ომიანობის დროსაც არა ყოფილა ის უბედურება, რაც ეხლა ხდება. კოდი პური უწინ რვა აბაზი იყო და ახლა კი რვა მანათ ზევით ადის, ისიც საშოვრათ არ არის. სიმინდისას ხომ ნულარას იტყვი. კიდევ ჩვენი ბედი, რომ წრეულს ბევრი ხილი მოვიდა და ემითანა ჩირ-ჩურებით ვირჩენდით თავსა, თორემ შენი მტერი, რომ ჩვენ საქმე დაგვემართებოდა. ცეცხლია წორედ ეხლა სოფლათ ცხოვრება,

ცეცხლი. ე ბავშვების საცოდაობამ ხომ ცოდვით აგვამ სო, მაგრამ ვინ არის ჩვენი პატრონი. გლეხ-კაცის სიმდიდრეს, მის ბედს და უბედურობას ერთი უღელი ხარკამეჩი შეადგენდა და ისიც ლამის ხელიდან გამოგვეცალოს, ცარიელი ძვლებივით ღა აღრძვიან საწყლები ამ ქალაქია დღეს ბაგაზედ და გაიქვთ უბედურათ ღმუილი. იმ დღე საწყალი ჩემი ნიკორა მეტი სიმშილისაგან ნეხვიან ფიჩხის ცოცხს ჰკენეტავდა და თან გამწარებული ღმუილით გულ-საკლავათ ხელებში შემომკქეროდა, ქათმებისა და დანარჩენ წვრილფეხობის განაგისი ხომ აღარსად არის. ბევრს შიმშილით დაეხოცა, ბევრმაკ ორ-ორ ჯამ ფქვილზე გადაცვალა და ე ბოლო დროს კი, ერთის სიტყვით, ყველა შიმშილისგან სინსილის გაწყვეტას ღა ველით, თუ ე ტიალი სიცივე თავისას არ დაიშლის და გაზაფხული დროით არ წამოგვეწევა. „ქრიჰ-ტემ“ დასწყეველოს წრეევანდელი ზამთარი; წამოღებერავს თუ არა ის გასაოხრებელი ზენა ქარი, ასეთ კორიანტელს აყენებს, რომ ძაღლი არ გაიგდება გარეთ. ესეც წორედ ჩვენი ცოდვის კითხვაა, შენი ჭირიმე. ახლა ზედ დატანებაზე ე ქურდობასაც მოუბშირეს. ვისაც კი ჯინში ორიოდე ტარო სიმინდი ეგდო, თვალით აღარ დაანახვეს; ან კი რა გასამტყუენები არიან? შიმშილი, შენი ჭირიმე, ასეთი მხეცია, რომ ადამიანს ყველას გაბედვინებს.

მიხა აქ ცოტახანს შეჩერდა, ერთი ღრმათ ამოიოხრა, თავი უფრო დაბლა დაჰხარა და ნელი ხმით განაგრძო:

— ხომ მოგეხსენება, უბედურ კაცს ქვა აღმართზე მოეწევაო. ე ანდაზა წორედ ჩვენ საწყალ გლეხკაცზე არის ნათქვამი. ი დალოცილმა ღმერთმა ე შიმშილი რო არ გვაკმარა, ახლა ი რაღაც უცნაური ავადმყოფობა საიდღანაც გამოგვიტყვრინა და, ერთი სიტყვით, მთელი სოფელი დაიწიოკა. ისე ცვივა ხალხი ი ოხერი მუცელაა, თუ რაღაც ჯანაბა, როგორც პანტა. გუშინ წინ საღამოს, ქრიჰტემ დასწყეველოს ის დღე, საწყალი მამა ჩემი ბუხრი წინ იჯდა და მოძრულ ფეხებს ითბობდა. დედა ჩემიც იქვე ორიოდ ჯამ ფქვილის ცომსა ზელავდა. უეცრათ მამაჩემმა ერთი კი წამოიკვნესა, არიქა, მიშველეთ, გულ-შემომეჭიდაო,—დაასხა, ბატონო, თავით ფეხამდინ ცივი ოფლი და ნახევარ საათში უბედურს კაკანათივით კი სული გაეყრევინა.

აქ მიხამ კიდევ ამოიოხრა, თითქოს სულის მოსაბრუნებლათ შეჩერდა, წვივიდან წითელი ხელსახოცი მოიხსნა, თვალები მოიწმინდა და განაგრძო:

— სიკვდილი თავისთვის იყვეს, შენი ჭირიმე, ან კი რა საჭიროა ჩვენისთანა უბედური ხალხისათვის სიცოცხლე, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლე, ჩვენთვის ორივ ერთივე ჭირია, თორემ ამითანა უბედურობა ღა გაგიგონია, შენი ჭირიმე; ი ჩვენმა ოჯახის ბურჯმა ხომ სახლის კარები გამოგვიკეტა, ცეცხლზე წყალი დაგვისხა, მაგრამ მე კი, მე უბედურს, იმდენი წელი არ შემწევდა, რომ მოამაგე მშობელი ქრიტიანულათ და პირნათლათ მიწისთვინ მიმებარებინა. თითქმის სამი დღე იდო მკვდარი სახლში და ი შეჩვენებული მღვდელი კი უფუულოთ სახლიდან გამოსვენებას არა თანხმდებოდა. ბარემ ბევრი ვეხვეწე, ხელ-ფეხს ვულოკავდი, რადგანაც დედა ჩემისა და ბალღების საცოდაობით გულ-მუცელი მეწოდა, კიდეც დავპირდი შემდეგში ერთი ორათ გადაგიხდიმეთქი, მაგრამ იმ იუდის კერძმა არ შემიბრალა და გადაჭრით გამომიცხადა, სანამ წინ გასაძღოლს სამ მანათ ფულს არ დამითვლი, მანამდინ შინიდან ფეხს ვერ მოვიცვლიო. რაღას ვიზამდი, შენი ჭირიმე, ი ოხერა ოჯახში ერთი გადამღრძვალი ნიკორას მეტი, კატაც კი არ მიკნაოდა და რას გავხდებოდი. ავდექი და ი მეღუქნე სინკასთან ჩავირბინე, ერთი მანათი რის ვაი-ვაგლახით იმას ვესესხე, ერთი ათ შაურამდინაც, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, ი ჩვენმა მეზობლებმა თითო-ორ-ოლ კაპიკობით შემომწირეს და მერე, რაკი სახლში გასაყიდი არა მგბადა რა, ე ჩირებ წამოვუსვი ხელი და დავადექ ქალაქის გზასა. ო... ო... წმინდა გიორგიმ დასწყეველოს ის წვალება, რაც მე გზაში გამოვიარე. ასე ოხრულათ ჰყინავდა და ისე ჰქროდა ი ქარი, რომ რატომ ერთი ორჯელ მაინც არ ამატირა ამოდენა ვაჟკაცი. ჩამოვაღწიე, როგორც იყო, ქალაქსა, შენი ჭირიმე, და ახლა აქ გადმოწყდა იმედი, დილას აქეთია მთელი ქალაქი დაუსვენებლივ მოვიარე, თავი გამისკდა ყვირილით, მაგრამ ე ჩემი ყვირილი ტიალ ქარს ჯანდაბისკენ მიჰქონდა. ბოლოს ისე გავბეზრდი, გულმა ისეთნაირათ დამიწყო ჯავრისაგან ტოკვა, ახლა ზედ დატანებაზე ე ტიალი შიმშილი და სიცივე ისეთნაირათ მომერია, რომ გადაგწყვიტე ე ძაღლ სიცოცხლისათვის შემეფურთხებინა, მეშვირა ფეხი და ღვრია მტკვრისათვის მიმეცა თავი, მაგრამ, ჰეი! ვენაცვალე ღვთის განგებას, არც ისე გავუწირიჯარ, როგორც მეგონა... კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ საბრალომ მეტი გრძნობით ენა ვეღარ მოატრიალა, უეცრათ სიტყვა შესწყვიტა და ერთხელ ისე შემომხედა და ისეთნაირათ ჩაიცინა, რომ არავითარი სიტყვა მას არ შეედრებოდა... კაი ხნის ლაპარაკისა და დასვენების შემდეგ გავისტუმრე საბრალო მიხა ჩირებითვე უკან. ბევრი მეხვეწა, ორ მანეთ ნახევარში ჩირები მაინც აიღეო, ძაგრამ, როგორც იყო დავარწმუნე, რომ ჩირები ჩემთვის სრულებით საჭირო არ იყო იმ დროს, როდესაც იმას კვლავინდებურათ პურის მაგივრობას გაუწევედა.

დავბრუნდი მეც სახლში დაქანცული გონებით და სულით. აქამომდე დაუკავებელი ბრაზი და ცეცხლი ახლა ღრმა სევდათ და გამოუთქმელ ნაღველათ შეეცვალა—ჰე, რა სასაცილოა და დიდი ცოდვა, საბრალო მაძღარო, უკეთესზე ფიქრი და მისწრაფება იმ დროს, როდესაც შენ საყვარელ სოფლათ და ყველგან შენს გარშემო შენზე უბედურთ წვა და დაგვაში ფუტ-ფუტი გაიქვთ, ამომძახოდა გულის სიღრმიდან რაღაცა ხმა და ეს ხმა მთელ ჩემს არსებას ცეცხლს უკიდებდა.

ცქვიტი.

პროვინცია.

ქ. სოხუმი. დღევანდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ თავისებური დაღი დაასვა განსაკუთრებით ჩვენს სოხუმს და ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენა. აქ კვლავ „მყუდროება და მშვიდობიანობა“ დამყარდა... ბევრმა ყოფილ „სოციალისტებმაც“ აიხადეს პირბადე და რეაქციის კალთებს შეაფარეს თავი.

დაბეზღება, ჰორიკანობა და პიროვნების ფეხ ქვეშ გათელვა-ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ინტელიგენტების მხრივ თუმცა სოხუმი არ მოძულებია ღმერთს, მაგრამ ამ უკანასკნელთ ყავახანებში კარტ-ნარდის თამაში და ბულვარის ტკეპნა უფრო ეხერხებათ, ვინემ ისეთ მიზნებისადმი სამსახური, რომელიც შეადგენს მათ პირდაპირ მოვალეობას. რაიმე კულტურულ-გამანათლებელ დაწესებულებებზე ზრუნვა და სხვა-ყველა ეს მათთვინ მეორე ხარისხოვან, ან თითქმის უკანასნელ კითხვას შეადგენს. ამ ბოლო ხანს, როგორც გავიგეთ, რამდენიმე პირს განუზრახავს სახალხო უნივერსიტეტის შესახებ ზრუნვა, რასაც არ შეიძლება სიხარულით არ მივეგებოთ, მხოლოთ ვშიშობთ კი, რომ ეს განზრახვა არ დარჩეს, „ხმად მღაღადებლისა“... როგორც იცით, განზრახვა ამა თუ იმ საქმისა ადვილია, ხოლო შესრულება კი მოითხოვს შესაფერ ცდას და ენერგიას, და ამ მხრით კი... ყოველ შემთხვევაში ვისურვებთ, რომ ჩვეულებრივ უგულობას აქ ადგილი არ დაურჩეს.

კაეშანი.

აკეთის საზ. (გურია). სამწუხარო, გულის მომწყვლელ სურათს წარმოადგენს დღეს სოფლის ცხოვრება. საზოგადოებრივი რეაქცია, ბნელ ძალთა თარეშში, სიმშილი, მრავალგვარი ავათმყოფობა-ყველა ეს უნუგეშო მდგომარეობაში აგდებს სოფელს. ასეთია მდგომარეობა საზოგადოთ და ჩვენი აკეთიც ხომ ვერ გაექცეოდა აღნიშნულ უბედურებათ..

ერთათ ერთი სამწუხარო მოვლენა, ეს საშინელი გულგრილობაა. ხალხი რაღაც ძალდატანებით ეკიდება ყოველივე საზოგადო საქმეს. სამაგიეროთ პირადი კინკლაობა, შურის ძიება, კარტის თამაში, და სხვა ასეთები, უფრო პირველ ადგილს იჭერენ. განსაკუთრებით კარტის თამაში ძალიან გავრცელებულია. თითქმის ყოველ დღე დუქნებზე გახურებული თამაშია, რასაც ხშირათ ჩხუბიც მოსდევს ხოლმე...

შიმშილმა მკაცრათ ჩაასო თავის ბრჭყალები ხალხს. თითქმის ყოველ დღე ნახავ ტომრით ხელში სოფელში მოსიარულეს... ხშირათ შეხვდებით აგრეთვე სამწუხარო სცენებსაც: ამას წინათ მაგ. ერთ შეძლებულ გლეხისას მივიდა სიმინდის საყიდლათ ერთი 16 წლის ბავში. როცა უთხრეს, რომ სიმინდი არ არისო. ბავშს ტირილი აუტყდა და იქვე ჩაიკეცა. აღმოჩნდა, რომ სამი დღის განმავლობაში ხილის გარდა არაფერი ეჭამა. ასეთი შემთხვევები ხშირია!..

წრევანდელი მოსავალი აღარ იძლევა იმის იმედს, რომ მომავალშიც მაინც უზრუნველ ყოფილი იქნებიან შიმშილისაგან. ჯერ იყო და ხანგრძლივმა გოლვებმა გაუჭირა საქმე მოსავალს, და ეხლა კი ისეთი წვიმები მოვიდა, რომ რაც გოლვამ დააკლო-ამან შეუსრულა. საზოგადოთ უკანასკნელმა წვიმებმა დიდი ზიანი მიაყენეს ყანებს.

მრავალგვარი ავათმყოფობა, რომელიც შიმშილობისა და გაჭირვების უცილობელი თანამგზავრია, მთლათ წელში სტეხს ხალხს. ვისაც ორიოდე გროში მოეპოება, ის კიდევ მიდის ფერშალთან, მაგრამ, ვისაც სიმინდის საყიდელი ფულიც არ გაჰნია, მან რა უნდა ქნას, ეს აშკარაა!.. თუ ვინმემ მოიყვანა ფერშალი, სოფელში ხელათ გავარდება ხმა და გზის პირებში ხვდებიან ხოლმე. ავათმყოფები და ფერშალი ბედნიერათ ჩასთელის თავს, თუ დღემებამდი სახლში მიახწია...

ასეა თუ ისე მდგომარეობა ძალიან კრიტიკულია. რაც აქ ვილაპარაკეთ ჩვენ, თითქმის იგივე შეიძლება ითქვას მთელი გურიის შესახებაც იმ განსხვავებით, რომ ზოგან უარეს შემთხვევებსაც შეხვდება კაცი.

არნერი.

ბათუმის ამბები

—მდგომარეობა ბათუმის აუტანელი და აუწერელია. ყოველგვარი წარმოება დაცემულია, აღებ-მიცემობა შეფერხებული. გაჭირვება ყველასი აქ ცხადი და ნათელია. დღევანდელი ბათუმი სრულიად არა გავს წინანდელ სამრეწველო ბათუმს: ფაბრიკული წარმოება აქ დაეცა, ვაჭრობა განახევრდა. თითქმის ყველას საერთოთ კრიზისმა თავისი განმანადგურებელი დაღი დააჩინა. აუარებელი მუშები წარმოების გაყინვამ ქუჩაში გამორეკა, და ულუკმა პუროთ დაყარა. რიცხვი უმუშევართა ყველა პროფესიის ჩვენს კურთხეულ ქალაქში 2000-ს კაცს უდრის. გაჭირვება უმუშევრების აუწერელია. უმუშევართა რიცხვი აქ დღითი-დღე მატულობს. ამათ გამრავლებას ხელს უწყობს სოფლების სიღატაკე და სიბეჩავე. მოუსავლობამ შესამჩნევათ დასცა ეკონომიური კეთილდღეობა ჩვენი გლეხობის და აიძულა ისინი უკუ-ეგდოთ სოფლები და ქალაქში შემოეფარათ თავი. გაღატაკებული გლეხები მოდიან აქ სამუშაოს საშოვნად, მაგრამ საერთო კრიზისის გამო აქ სამუშაოს ვერ შოულობენ და ქალაქის მუშებთან ერთათ შიმშილისაგან სულს ლევენ.

ამ ბოლო დროს აქ გავრცელდა ხმა—„როტშილდი ზავოდს ხსნისო“, როგორც გავიგეთ ეს ხმა საფუძველს არ უნდა იყვეს მოკლებული. თუ მართლა „როტშილდმა“ თავისი წარმოება განაახლა, აუცილებლათ ბათუმი დღევანდელ ძილს თავს დააღწევს, და უმუშევართა ბედიც ოდნავ გაუმჯობესდება.

—საზაფხულო კანიკულები დასრულდა; ყველა ადგილობრივმა სასწავლებლებმა განაახლა მეცადინეობა.

აქა-იქ გაფანტული მოსწავლე-მასწავლებლები უკვე ჩამოვიდენ და შეუდგენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას. ბათუმის სასწავლებლებს ამ სამოსწავლო წლიდან მოემატა ორი კერძო საშვალო სასწავლებელი, ერთი შერეული ქალ-ვაჟთა გიმნაზია და მეორე შვიდ-კლასიანი კომერციული გიმნაზია.

— ტოლსტოის იუბილეის დღემ ქ. ბათუმში უმნიშვნელოთ ჩაიარა. არავის ფიქრათაც არ მოსვლია ედღესასწაულა 80 წლის თავი „დიად რუსეთის მოაზრისა“.

— ვერაგულათ მოკლულ ილია ჭავჭავაძის წლის თავი მხოლოდ „ბათუმის გოლოს“-ს გაახსენდა. 31 აგვისტოს რედაქციის ინიციატივით გადახდილ იქმნა ბათუმის ძველ სობოროში პარაკლისი ჩვენი მხცოვან პოეტის სულის მოსახსენებლათ. სიმწუხარით უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენ ბათუმელ საზოგადო მოღვაწეებს ერთი სიტყვითაც არ აღუნიშნავთ ი. ჭავჭავაძის სიკვდილის წლის თავი.

— დღეს 7 სექტემბერს აქ ქალაქის შენობაში ქალაქის თვითმართველობის დავალებით, წაიკითხვენ ხოლერაზე ლექციებს ქართულ და რუსულ ენაზე. ქართულათ ლექციას წაიკითხავს ბათუმელების საყვარელი ექიმი გიგინეიშვილი, რუსულათ პაპისოვი. ვნახოთ რამდენი დაესწრება საზოგადოება.

ი. ბახტაძე.

თვალ საჩინო სწავლება სკოლებში.

— : —

დიადი მნიშვნელობა თვალსაჩინო სწავლებისა, ნამეტურ სწავლა-აღზრდის პირველ საფეხურზე, დიდი ხანია აღიარებულია ყველა ცნობილ პედაგოგების მიერ. კონკრეტული სწავლების პრინციპები თანდათან იძენენ და იჭერენ შესაფერს ადგილს, როგორც პირველ-დაწყებით, ის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებშიაც. ჭეშმარიტი და ნამდვილი ცოდნა ამა თუ იმ საგნისა უნდა შეიცავდეს არა მარტო სიტყვიერ აღწერას, არამედ კონკრეტულ მასზე წარმოდგენას. თუ ასეთი ცოდნა საჭიროა მოზრდილთათვის, მით უმეტეს საჭიროა იგი ყრმათათვის. თვით მეთოდი თვალ საჩინო სწავლებისა, დამყარებული გარეშე გრძნობათა ორგანოებზე (მსმენელობა, მხედველობა, შეხება), სავსებით აკმაყოფილებს ადამიანის ბუნების მოთხოვნილებას და ჩვეულებრივ სისტემას წარმოდგენათა შედგენისას. „ყოვლად შეუძლებელია ადამიანის გონების სავსებით დაკმაყოფილება, თვინიერ გარეშე გრძნობათაო“, ამბობს, თვალსაჩინო მეთოდის მამათ მთავრათ წოდებული, ი. ა. კომენსკი. „ასწავლეთ ბავშვს ხუთი მისთვის ჯერ ახალი, გაუცნობელი სიტყვა და იგი დიდხანს იწვალებს მათზე, მაგრამ შეუერთეთ სურათებს ოცი ამისთანა სიტყვა და იგი მყისვე შთაინერგავს გონებაში ამ სიტყვებს სრული თავისი მნიშვნელობით და შინაარსით“, ამბობს კ. დ. უშინსკი. საგნების და სხვა და სხვა მოვლენათა გასაცნობლათ აუცილებლათ საჭიროა თვალ საჩინო სახელმძღვანელონი, ნამეტურ პირველდაწყებით შკოლებში. თვით ხელოვნურს აღწერას არ შეუძლია გასწიოს არამც თუ საგნის მაგივრობა, არამედ თვით ამ საგნის სურათისაც კი. ყოველ რიგიან საფეხურზე დამყარებული სკოლის კურსში შედის ამ ჟამათ პირველ დაწყებითი ცნობანი ისტორიიდან, გეოგრაფიიდან და ბუნების-მეტყველებიდან. ეს ცნობანი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ განმარტებით კითხვის გაკვეთილებზე მოთხრობების გარჩევის დროს. ასეთი შინაარსის მოთხრობები (სტატიები) მოთავსებულია თითქმის ყველა პირველ-დაწყებით სახელმძღვანელო წიგნებში. კითხვა ასეთი მოთხრობებისა, თუ იგი დამყარებული არ იქმნა კონკრეტულ ნიადაგზე, უნაყოფოთ დარჩება და გონივრულს საზრდოს ვერ მიაწოდებს ბავშვებს. სამწუხაროთ თანამედროვე სკოლებში ასეთს აუცილებლად საჭირო თვალ საჩინო სახელმძღვანელოებს უმეტეს შემთხვევაში სრულიად ადგილი არა აქვს. სანამდი შკოლებს შესაფერი და საჭირო თვალსაჩინო სახელ-მძღვანელოები არ ექნებათ, ისინი ვერ აღასრულებენ ნამდვილ განმანათლებელ დაწესებულებათა როლს და ბევრ განსხვავებას არ წარმოადგენენ იმ სკოლებისაგან, რომელთაც მიზნათ მხოლოთ გრამატიკის გაზეპირება აქვსთ დასახული და არა ყოველ მხრივი კონკრეტული ცოდნათა მიწოდება მოსწავლეთათვის. თვით იმ ვიწრო მიზნის განხორციელებაც, რომელიც დასახული აქვს დღეს სახალხო სკოლას, სწავლება გონივრული და შეგნებული კითხვისა შეუძლებელი ხდება, რადგან სკოლა მოკლებულია კონკრეტულ სისტემას.

მიუხედავათ იმისა, რომ აუცილებელი საჭიროება თვალსაჩინო მეთოდისა პირველ დაწყებით სწავლების საქმეში დადასტურებულია 250 წლის წინათ,—პრაქტიკულათ ამ მეთოდმა ვერ მოიხვეჭა შესაფერი ადგილი რუსეთის დღევანდელ სკოლებში. აზრი თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა შემოღების შესახებ პირველ დაწყებით სკოლებში დაიბადა 50-იან წლებში და მოაღწია ჩვენამდის საზოგადო განმანათლებელ ხასიათის სახალხო შკოლების აღორძინებასთან ერთათ 60-ციან წლების პედაგოგიურმა ლიტერატურამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ამ დიად საკითხს და მისი გავლენის ქვეშ კერძო პირთა, თუ საზოგადო დაწესებულებათა ინიციატივით დაარსებული სახალხო სკოლები ამ მხრივ გაცილებით უფრო მოწყობილი იყო, ვიდრე თანამედროვე საერო სკოლები.

სამოციან წლებშივე დაარსდა რამოდენიმე გამომცემელი ფირმები, რომელთაც იდვეს თავს მიეწოდებინათ სკოლებისათვის თვალსაჩინო სახელმძღვანელოები. სრულიად რუსეთის სამრეწველო გამოფენაზე 1870 წლებში, პირველათ რუსეთის შკოლის ცხოვრებაში, გამართული იყო განსაკუთრებული პედაგოგიური განყოფილება, რომლის კოლლექციებმა შთაუდვეს საფუძველი პირველ რუსულ პედაგოგიურ მუზეუმს, რომელიც დღესაც მოქმედობს და რომელსაც ეწოდება „Музей военноучебныхъ заведеній“.

მაგრამ ოთხმოციან წლებიდან მთავრობა და საზოგადოებაც აქცევს უმთავრეს ყურადღებას სკოლების რიცხვის გამრავლებას. თვისებით მხარეს ამ განმანათლებელ დაწესებულებათა კი ივიწყებს...

საყოველთაო განათლების გავრცელებისადმი ლტოლვილებამ დაბადა აზრი თვით სკოლის ტიპის შეცვლისა—ელემენტარული სკოლების დაარსებისა **ორ ორი წლის კურსით**. **ვ. ობჩელი.**

(შემდეგი იქნება)

დედა.

როგორც აღმზრდელი.

(წერილები მუშა ხალხის დედებისადმი).

თარგმანი გერმანულიდან **სვ. კანდ—ისა.***)

ხელი შეუწყე შენი ბავშვების შრომა მოქმედებისადმი მისწრაფებას.

ჯერ დაუმზადე ბავშს სათამაშოები და მერე მიყავი ხელი შენს ოჯახურ საქმეებს. მაგრამ შენი ბავში არ იცდის თავის სათამაშოებთან. ის თან მოგდევს, მას უნდა სწორეთ ის გააკეთოს ყოველთვის, რასაც შენ აკეთებ, მას უნდა შენთან ერთად გაბერტყოს, გახვეტოს, დაწმინდოს, გაამშრალოს, კარტოფილი გაფცქვნას, დანაკლისი შეასრულოს, საჭმელი მოამზადოს. შენ კი უჯავრდები: „რა მოუსვენარი ბავშია, აგერ მშვენიერი ტიკინი და შესანიშნავი საბავშო სამზარეულო და სათამაშოები აქვს; მაგრამ იმის მაგივრათ, რომ იქ ითამაშოს, დატრიალებს ჩემს ირგვლივ და ხელს მიშლის მუშაობაში.

რასაკვირველია, ეს არ არის სასიამოვნო, რადგან შენ ბევრი სამუშაო გაქვს; მაგრამ ეს ვნება მხოლოდ უმნიშვნელოა შედარებით იმ ვნებასთან, რომელიც შენს უსიყვარულო მოქცევას მოაქვს ბავშვისათვის. შენ უწყრები, ის ტირის და მაინც არ იცდის თავის დედოფალასთან და რომ შენ ეხლა მას უფრო შეტევით უჯავრდები, ეს კიდევ არ არის ყველაზე უარესი. სავალალო ის არის, რომ შენი ბავშვის შესანიშნავ მისწრაფებას სიცივით და ყინვით ახშობ, იმის მაგიერ რომ მზის სხივებით გაალვივო, ბავში არ თამაშობს იმისთვის, რომ ითამაშოს, როგორც შენ ამას ფიქრობ; ბავში მუშაობს თამაშობაში, მას უნდა სათამაშოთი ისეთივე გამოსადეგი სამუშაო შეასრულოს, როგორც შენ შენი საოჯახო სამუშაოთი. ყველაზე უფრო ბავში სწავლობს მაგალითით. ბავში ხედავს შენ საქმიანობას—მოქმედებას, მასაც უნდა უმალვე იგივე გააკეთოს, როგორც შენ; ის ინსტიკტიურათ გრძნობს. რომ ეს სამუშაო საუკეთესო და თანაც გამოსადეგია. ამისათვის ასეთ სურვილს და მისწრაფებას ნუ დაუხშობ შენი უსიყვარულობით, პირიქით ხელი შეუწყე ბავშის შრომისადმი მისწრაფებას. მიეცი შენი სამი წლის ქალიშვილს მჩვარი და ასწავლე გაწმინდოს სკამი. აბა, მაშინ უცქირე შენი ბავშვის მონდომებულ სახეს და აი, ბავშვის ასეთი ბეჯითობა-საქმიანობა, რაც ნათლათ გამოკრთის ბავშვის მიხვრა—მოხვრასა და გამომეტყველებაში, ასე თუ არ ამხიარულებს შენ გულს, მაშინ შენ არ ყოფილხარ ნამდვილი დედა. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები „შრომაში“ რაღაც სიდიადეს და მშვენიერებას ვხედავთ. ის საზოგადოების შემნახველი ბურჯია. ჩვენი მიზანიც ის არის, რომ იგი მშვენიერ და კეთილშობილ სანახაობათ ვაქციოთ. თუ შენი ბავშვის შრომისადმი მისწრაფებას ყურადღებით მოექცევი, შენც შეგიძლია შენი წვლილი შეიტანო ამ საქმეში. მაგრამ ეს ყურადღება ბურჟუაზიულ მნიშვნელობით კი არ უნდა გაიგო. შენი შვილი შრომის მონათ კი არ უნდა აღზარდო, არა! საქმეს უნდა შეხედო სოციალისტურ თვალსაზრისით რომ შრომაში განუვითარო შენს ბავშს შესაფერი სული და ზნეობრივი სათნოებანი.

აი, მაგალითად, აგრე მოიქცა გერმანელი ქალი პესტალოცი გერტრულა. ის ამუშავებდა და აქსოვინებდა ბავშვებს, მაგრამ სულიერათ კი არ სჩაგრავდა მათ. თვითონაც იჯდა მათთან, ეხმარებოდა და თანაც ესაუბრებოდა. ის ბავშებს მშვენიერი ამხანაგია და ბავშებიც გაბრწყინვებული თვალებით შესცქერიან მას.

ჰენრიხ შულცე.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. ,,ჩვენი კვალი‘‘ № 13.

წერილები რედაქციის მიმართ.

,,ჩვენი კვალის‘‘ მე-15 №-ში უკანასკნელ გვერდზე ეწერა: ,,ნუ თუ ბ-ნი გოცირიძე, რომელსაც პატივს სცემს საზოგადოება, ხელს უწყობს ასეთ ვაჟბატონებს ხალხი ატყუილონ?‘‘

ამ სიტყვებში ჩვენ ვიგულისხმებდით სახალხო თეატრების სცენის მოყვარეს ბ-ნ ნ. გოცირიძეს. ეხლა, სიამოვნებით უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული ,,გოცირიძე‘‘ სრულებით არ ყოფილა ბ. ნ გოცირიძე. ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა იმ გარემოებამ, რომ წარმოდგენის ინიციატორთ ბ-ნ გოცირიძის სახელი არ აღენიშნათ აფიშაში. ჩვენ სიამოვნებით ვასწორებთ ამ შეცდომას. **პარნასი.**

შეცდომის გასწორება.

წინა №-ის „გზა-და-გზა“-ში კორექტურულ შეცდომით დაბეჭდილია მეორე სვეტში: „მეტათ გააძლიერებდა და შეაფერხებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას“. უნდა იყოს: „გააძნელებდა და შეაფერხებდა და სხ.‘‘ მესამე სვეტშია: ,,სოციალდემოკრატს არ შეჰფერის ასეთი განმარტოვებული მსჯელობა‘‘. უნდა იყოს: ,,სოციალდემოკრატს არ შეჰფერის ასეთი განმარტივებული მსჯელობა‘‘.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

განცხადებანი.

ახალი გამოცემანი

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა.

დედა-ენა, ნაწილი მეორე, ოცდა- მესამე გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოებისა. ჩამატებული აქვს ექვსი გვერდი ახალის საწერი დედნისა და თორმეტი, ნოტებზე გადაღებული, სახალხო სიმღერა: კახური, ქართლური, იმერული, გურული, მეგრული, სვანური. ფასი იგივეა.

დედა-ენა, ნიწილი პირველი, გამოცემა ოცდა-მეოთხე, დაბეჭდილია ახლად ჩამოსხმული ასოებით, იპყრობს სამს გვერდს მსხვილის ხელის დედნისას. ფასი იგივეა.

რუსსკოე სლოვო, ნაწილი პირველი, მეთექვსმეტე გამოცემა, იპყრობს ახალს პეტერბურგში დამზადებულს ნიმუშებს რუსულის პირდაპირის წერისას. ფასი იგივეა.

რვეულები, პირდაპირი რუსული წერისა, საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი, იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში და ბრიქუროვთან. ფასი სამი კაპეიკი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ· **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.